პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 5 48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— 21 ოქტომბერს დიდი ზეიმით დაიხურა საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენა.

— რუმინეთის კომპარტიამ დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება ბულგარეთის ლტოლვილთა დასახმარებლად.

— პოლონეთში გაფიცვები გრძელდება.

— ლატვიის კომუნისტებმა გამოაქვეყნეს საფრანგეთის მთავრობის საიდუმლო წინადადება. საფრანგეთი სთხოვდა ლატვიას გამოეცხადებია ომი ს. ს. რ. კ. იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში რევოლუცია იფეთქებდა.

№ 243 სამშაბათი, 23 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მ ნ. № 244

სამშაბათს, დღის 12 საათზე, საქართველოს კომ. პარტიის ტფ. კ-ის საგიტ-საპროპ. განყოფილებაში.

შესდგება

ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობ კომისიის სხდომა.

დღის წესრიგი:

დღესასწაულის პროგრამის საბოლოო დამტკიცება.

კრებას უნდა დაესწრონ შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენლები: პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების, განათლების სახ. კომ-ის, პოლიტგანათლების, პროლეტკულტის, ქალთა განყოფილების, ახალგაზრდათა კომკავშირის, ცალკე კავკასიის არმიის პოლიტსამმართველოს, ქალაქის კომენდანტი, საქართველოს დივიზიის პოლიტგანყოფილების, ამიერ-კავ. საგანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიულ ნაწილის პოლიტგანყოფილების, ცალკე კავკ. არმიის ბრიგადის პოლიტგანყოფილების და ქალაქის სარაიონო კომიტეტების სააგიტ-საპროპ. განყოფილებების გამგეები.

კომისიის თავმჯდომარე მ. ესხენი.

ამიერ-კავკასიის კ. პ-ის ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს, ყველა გამომცემლობებს და რედაქციებს.

ს. ს. რ. კავშირის ცაკ-ის მორიგი სესიის მოსკოვში გადატანის გამო ამიერ-კავკასიის პრესის გამოფენის მოწყობა გადადებულია ამ.-კავ. საბჭოთა ყრილობის მოწვევამდე.

წინადადება გეძლევათ განაგრძოთ გამოფენისათვის საჭირო საორგანიზაციო მუშაობა და სავსებით შეასრულოთ ყველა ამოცანები, რომლებიც აღნიშნული არიან რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ინსტრუქციაში.

რ. კ. პ-ის ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყოფილება.

ყველა პარტიულ და საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი სცემს კრებულს სათაურით: „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო". კრებული (დაახლოვებით 300 გვერდი), რომელშიც მოთავსებული იქნება წერილები ამხ. ლენინის, რადეკის, ტროცკის, ბუხარინის, ცეტკინის, კოლაროვის, მახარაძის, ცხაკაიასი, ორახელაშვილის, ელიავას, ყურულაშვილის, სტურუას, კანდელაკის და სხ. და სხ. შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

1. **ოქტომბრისაკენ.**
2. **ოქტომბრი გადატრიალება და მისი ადგილი ისტორიაში.**
3. **ოქტომბრის გადატრიალება და მენშევიკური საქართველო.**
4. **ოქტომბერი საქართველოში.**

კრებულში მოთავსებული იქნება ილიუსტრაციები და ოქტომბრის რევოლუციის ბელადების სურათები. საჭიროა ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა წინასწარ დაიკვეთონ საჭირო რაოდენობა კრებულისა. კრებული ეღირება 3 მ. ჩერვონცებით და გადახდა შეიძლება ორ წილად: დაკვეთის დროს პირველი და მიღების დროს მეორე ნახევარი.

დაკვეთა შეიძლება მთავარ პოლიტიკურ განათლების წიგნის მაღაზიაში: რუსთაველის პროსპექტი № 22.

საქ. კომ. პარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

იაფი საქონელი სოფელს

ჩვენ ამის წინად ვწერდით იმ მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა მოსახლეობის მშრომელი ელემენტებისათვის, განსაკუთრებით კი გლეხობისათვის, სამრეწველო საქონლის საარაკო გაძვირების ნიადაგზე.

ამავე დროს შეუდარებლად გაიაფდა საერთოდ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები და კერძოდ ხორბლეული — მთავარი წყარო ჩვენი გლეხის არსებობისა, რის გამო ის მოკლებულია საშუალებას თავის ნამუშევარით შეიძინოს აუცილებლად საჭირო საფაბრიკო-საქარხნო საგნები—მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, მარილი, ნავთი და მრავალი სხვა.

ასეთი გარემოება დამღუპველია როგორც სასოფლო-მეურნეობისათვის, ისე მრეწველობისათვის. სიიაფე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებისა ხალისს უკარგავს გლეხობას შემდეგში ინტენსიური მუშაობისათვის და საფრთხეს უმზადებს სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებას. აქედან მოსალოდნელ შემცირებას სათესი სივრცისა მოყვება სასურსათო კრიზისი, რაც მთელს რესპუბლიკას კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდებს.

მეორე მხრივ, ათეულ მილიონიან გლეხობის მიერ სყიდვითი შესაძლებლობის დაცემა გამოიწვევს თვით მრეწველობის კრიზისს, შეუძლებელს გახდის სამრეწველო საგნების გასაღებას. ეს კი ემუქრება ფაბრიკა-ქარხნების დახურვას, უმუშევრობას და სხ.

შექმნილი ეკონომიური მდგომარეობა სახიფათოა თავისი პოლიტიკური შედეგებითაც. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებაზე, რაც არის მთავარი საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების სიმაგრის.

მაგრამ ამ კავშირისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მკვიდრი ეკონომიური ბაზა, ამ შემთხვევაში გლეხობის დაკმაყოფილება იაფი ფაბრიკატებით.

საბჭოთა ხელისუფლებას მთელი თავისი სიღრმით შეგნებული აქვს ეს ამოცანა და ის იღებს გადაჭრილ ზომებს, რათა გლეხობისათვის და საერთოდ მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გახადოს მრეწველობის პროდუქცია.

ამ ბოლო ხანებში მთავრობამ, სათანადო სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოებმა ამ მხრივ მოახდინეს დიდი გარდატეხა. დადგენილ იქნა ფართლეულზე და სხვა საფაბრიკო საგნებზე ფასების დაწევა 25-დან 40 პროცენტამდე. ამ სფეროში მიღებულ ღონისძიებებს მკითხველი გაეცნობა ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტის წერილიდანაც, რომელიც ქვემოდ იბეჭდება.

საქონელი ჩვენში მოსკოვიდან და საერთოდ რუსეთიდან მოდის და იქ მიღებულმა ზომებმა ადგილობრივ ბაზარზედაც ჰპოვეს გამოხმაურება. აქ უკვე ეხლაც შემჩნეულია ფასების საგრძნობი დაწევა. დიდი მუშაობა აწევთ ამ მიმართულებით სათანადო სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოებს, რომელნიც უნდა შეეცადონ საორგანიზაციო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას, ალებ-მიცემობაში შუამავალ ელემენტების თავიდან მოშორებას და საქონლის მიწოდებას უშუალოდ მომხმარებელი მასისათვის.

რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ამ შედარებით საკმაოდ გაიაფებული საქონლის შეძენაც გაუძნელდება გლეხობას. ამისათვის მას ფულის ნიშნები ნაკლებად მოეპოვება. ამიტომ ჩვენს ამოცანას შეადგენს შესყიდვა გლეხობისაგან მისი ნაწარმოებისა და მისი გადაცვლა ფაბრიკატებზე, ამასთან ბაზრის მოპოვება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის და ამით მისი ფასის აწევა.

ეს მუშაობა კიდეც სწარმოებს, რის შედეგად შემჩნეულია ტენდენცია გლეხის ნამუშევარზე ფასების ზრდისა.

და ჩვენ საფუძველი გვაქვს გვწამცხადოთ, რომ მოკლე დროში თავს დავაღწევთ იმ მართლაც მძიმე მდგომარეობას, რომელშიც დღემდე ვიმყოფებოდით.

ფაბრიკატებით გლეხობის ასე თუ ისე დაკმაყოფილებით ჩვენ მკვიდრ საძირკველს ჩაუყრით პროლეტარიატის და გლეხობის იმ კავშირს, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის სამეურნეო აღორძინება და საბჭოთა ხელისუფლების მომავალი.

გერმანიის დანაწილება

(რეინლანდის „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის გამოცხადების გამო)

როდესაც ამ ზაფხულზე ინგლისურ ჟურნალ „ობსერვერ"-მა გამოაქვეყნა ერთი სენსაციური დოკუმენტი (საფრანგეთის აგენტის საიდუმლო მოხსენება საგარეო საქმეთა სამინისტროს), რომელიც აძლევდა პუანკარეს მუშაობას რეინლანდის სეპარატისტების დასახმარებლად, ამ კუთხის გერმანიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და მისგან „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის გამოცხადების მიზნით—საფრანგეთის პრესამ ერთი ალიაქოთი შექმნა. როგორც ყოველთვის, ტონის მიმცემი იყო გაზეთი „ტანი", რომელმაც თავის ინგლისელ თანამოძმეს, ერთი ვეებერთელა მეთაური უძღვნა, სადაც რედაქცია შეურაცხყოფილი უმანკოების სახით უმტკიცებდა ევროპის „საზოგადოებრივ აზრს", რომ ყოველივე ეს ერთი უშვერლებელი ცილისწამებაა და არავითარი მსგავსი ზრახვები საფრანგეთს არ აძრავებენო. მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო მაშინაც, რომ ამ შემთხვევაშიაც, როგორც ყოველთვის, გაზეთი თვალთმაქცობდა და მისი პირით სიცრუე მეტყველებდა.

მას შემდეგ განვლო ოთხმა თვემ. წინააღმდეგ ოფიციალური ლათაიისა, საფრანგეთის აგენტები ენერგიულ მუშაობას აწარმოებდენ ამ მიმართულებით; მათ შექმნეს მთელი „მოძრაობა" სეპარატისტებისა, რომლებსაც უხვ მატერიალურ დახმარებას უწევდა პუანკარეს მთავრობა საფრანგეთის ხალხის ქონებიდან და კიდევაც მიაღწიეს მიზანს. თანახმად დღეს მოსული ცნობისა, უკვე გამოცხადებულია რეინის „დამოუკიდებელი" რესპუბლიკა. სეპარატისტებმა დაიკავეს მთელი რიგი ქალაქების, იარაღი აყარეს მოწინააღმდეგე ძალებს და ავრცელებენ უფრო ფართოდ თავიანთ გავლენას ამიერთ ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა, საჯაროთ, თუ რა ფასი აქვს ოფიციალურ გამოსვლებს საფრანგეთის მმართველი წრეებისას და როგორ მეჭყავება მათ შეცდომაში „საზოგადოებრივი აზრი", რომელიც კიდევ უჯერის ამ სიცრუესა და თვალთმაქცობის გმირებს.

ეჭვს გარეშეა ეს აქტი არის ფრიად მნიშვნელოვანი არა მარტო გერმანიის ინტეგრიტეტის შებღალვის, არამედ რევოლუციის დასუტების თვალსაზრისითაც. დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნით საფრანგეთი აღწევს თავის მიზანს არა მარტო იმ მხრივ, რომ ის ასუსტებს გერმანიას საკმაოდ დიდი ტერიტორიის ჩამოჭრით—თუ ეს საბოლოოთ მოახერხა ძან,—არამედ იმ აზრითაც, რომ ჰქონდეს ბუფერს რევოლუციონურ გერმანიასა და საფრანგეთს შუა და გარდა ამისა ამცირებს, თუ შეიძლება ითქვას ასე, რევოლუციის ტერიტორიის. როგორც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იმპერიალისტები ხელს უწყობდენ ცენტრგამომღელ ძალებს და განაპირა „დამოუკიდებელი" რესპუბლიკების შექმნას, ისევე დღესაც, გერმანიის რევოლუციის ღელვაში იგივე მუშაობას აწარმოებს, და ჯიუტობით აღწევს კიდევაც მიზანს, საფრანგეთის იმპერიალიზმი. ამაში მას ხელს უწყობენ და გერმანიის „ფატერლანდის" (სამშობლოს) დაქუცმაცებასათვის მუშაობენ ის ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებსაც მსოფლიო ომის დროს პირზე ეკერათ „სამშობლოს" ინტერესები და ვითომდა ამ ინტერესებისათვის მიერეკებოდენ ისინი მოკავშირეების წინააღმდეგ გერმანიის მუშებსა და გლეხებს. დღეს, როდესაც მათ ქონებას და მდგომარეობას ემუქრება მომავალი რევოლუცია, მათაც თავი მიანებეს „საყვარელ სამშობლოს" და მიჰკიდეს ის ვითომდა მოსისხლე მტერს, საფრანგეთის კაპიტალისტებს. ასეთმა მოძრაობამ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დიდი არაფერი შემატა რუსეთის თეთრგვარდიელ სეპარატისტებს და ყოველი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უკეთეს ცხოვრებას არც რეინლანდის „დამოუკიდებლობის" დღევანდელ გმირებს მოუმზადებს გერმანიის მომავალი რევოლუცია.

წერილები მოსკოვიდან

საქონლის გაიაფება

სამრეწველო პროდუქციის ფასების ზრდამ ამ ბოლო დროს მიიღო არანორმალური ხასიათი. სოფლის ნაწარმოების ფასებთან შედარებით ის საგრძნობლად გაიზარდა. ამ არაჩვეულებრივმა განსხვავებამ საქალაქო და სასოფლო ნაწარმოების ფასებს შორის, აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა სოფლის გლეხობა. მათთვის საჭირო საქონელი თითქმის მიუწვდომელი გახდა. მეორე მხრივ მაღალმა ფასებმა გამოიწვია ვაჭრობის კრიზისი—საქონლის ნაკლებად გასაღება და ბაზრის შევიწროება.

მაღალი ფასების გამომწვევი იყო სხვადასხვა მიზეზები. ერთი მხრივ საერთო ეკონომიური მდგომარეობა და, მეორე მხრივ, მრეწველობის და ვაჭრობის ორგანიზაციის დეფექტები და ამით შექმნილი ზედმეტი ხარჯები. ვაჭრობის მოუწესრიგებლობა და მისმა ცუდათ დაყენებამ ერთი ორათ გაზარდა საორგანიზაციო ხარჯები. ახლანდელი ვაჭრობის ხარჯები ორჯერ მეტია, ვიდრე ეს იყო ომამდე.

ფასების ასეთ ძალიან აწევას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, როგორც სამეურნეო, ისე პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების მხრივ. ეს საკითხი ძირითად ნაწილს შეადგენდა პარტიის 12 ყრილობაზე ტროცკის მიერ გაკეთებულ მოხსენებისას, სადაც აღნიშნული იქნა, რომ საქალაქო და სასოფლო ნაწარმოების ფასების ფრიად დიდი განსხვავება ხელს შეუშლის რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებას და შეუძლებლად გახდის ქალაქის პროლეტარიატის და სოფლის გლეხობის კავშირის განმტკიცებას. უკანასკნელ დროს მომხდარ მთელ რიგ ყრილობებზე და თათბირებზე ამ საკითხს დაეთმო განსაკუთრებული ადგილი, გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი ზომების, რასაც შედეგად მოჰყვა ფასების საგრძნობლად დაწევა.

ამჟამად მოსკოვის თითქმის ყველა სახელმწიფო და საკოოპერაციო სავაჭრო ორგანოები, ტრესტები და სინდიკატები შეუდგენ საქონლის ფასების გადასინჯვას და გაიაფებას. მაგალითად „მოსუკნომ" გააიაფა თავის საქონელი 25 პროც., სხვადასხვა სამანუფაქტურო სავაჭროებმა ფასები დასწიეს 25—30 პროც.; „მოსკვოშვეიმ" მზათ ტანისამოსის ფასებს დააკლო 30 პროც. მოსკოვის სავაჭრო უნივერსალურმა მაღაზიებმა („მოსტორგი", „გუმი" და სხვა). დაიწყო ძველ ფასებთან შედარებით დაკლებულ ფასებში გაყიდვა, მაგალითად შეკერილი ტანისამოსის 40 პროც., მანუფაქტურა 25 პროც., ფეხსაცმელი და ტყავეულობა 25 პროც. სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს ძალაუნებურად უკან მისდევს კერძო სავაჭროებიც, რომელნიც იძულებული არიან გაუყიდი საქონლის ფასები დასწიონ იმდენათ, რამდენათ სახელმწიფო ორგანოებმა. **ამრიგათ საქონლის გაიაფება ღებულობს საერთო ხასიათს.** გაიაფება ვრცელდება არა მარტო მანუფაქტურაზე, არამედ ყველა საქონელზე, მაგალითად იაფდება წიგნები. მიმდინარე კვირაში „გუმი" (სახელმწ. უნივერსალური მაღაზია) იწყებს წიგნების გაყიდვას (ყოველივე დარგის) 70 პროც. „სკიდკით".

ფასების დაწევამ გამოიწვია ვაჭრობის გამოცოცხლება. ერთი ორად გაიზარდა მყიდველთა რიცხვი, უმეტეს ნაწილად მცხოვრებლების უფრო ღარიბ ნაწილიდან.

მიღებულია ზომები, რომ გაიაფებული საქონლით ისარგებლოს სოფლის გლეხობამ. კოოპერაციის საშუალებით საქონელი უნდა გადაგზავნილ იქნას სოფლად—და სახელმწიფო სავაჭროებსა და სოფლის გლეხობის შორის არ უნდა იქნეს კერძო შუამავალი—სპეკულიანტი.

უნდა აღნიშნული იქნას, რომ ახლანდელი ფასების დაწევას ხელი შეუწყო იგრეთ წოდებულმა ადმინისტრატიული ზომების მიღებამაც. როგორც უკიდურესი ზომა ვაჭრობაში, ეს არ არის მიზანშეწონილი: ფასები და საერთოდ ვაჭრობა დამოკიდებულია წარმოებისა და ბაზრის მდგომარეობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ადმინისტრატიულმა ზომამ დადებითი ნაყოფი მოიტანა. შემდეგში აუცილებელი იქნება სხვა ზომები, ვიდრე ადმინისტრატიული, როგორც, მაგალითად ვაჭრობის საორგანიზაციო, ზედმეტი ხარჯების შემცირება და ვაჭრობის სალ ნიადაგზე დაყენება.

მოსკოვი 16 ოქტ. **ს. გ.**

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი და გერმანელი მუშები

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი რამოდენიმე ფაქტი საოკუპაციო ჯარის ნაწილებისა და გერმანიის მშრომელ ელემენტების დაძმობილებისა. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს, „ლიუმანიტე"-ს უკანასკნელ, ჩვენამდი მოღწეულ, ნომერში (8 ოქტ.) მოყვანილია ერთი ფრიად საინტერესო შემთხვევა ასეთი დამოკიდებულებისა ჯარსა და ადგილობრივ მშრომელი მოსახლეობის შორის: ამ გაზეთის დიუსელდორფელი კორესპონდენტი აღწერს ასეთ ამბავს:

„დიუსელდორფში კომუნისტების დემონსტრაციას შეხვდა ერთი ჯგუფი ფრანგი სალდათებისა, შემდგარი 15 კაცისაგან. რა მოხდა? რა და ის, რომ დემონსტრანტები შეეგებნენ მათ ყვირილით: „გაუმარჯოს კავშირს! გაუმარჯოს საფრანგეთის პროლეტარ სალდათებს. „სალდათებმა კი უპასუხეს თავიანთი მხრით: „გაუმარჯოს რევოლუციას!" რამოდენიმე წუთის განმავლობაში სალდათები თავში უძღოდნენ დემონსტრაციის მსვლელობას".

მომენტი, როდესაც ასეთი სულისკვეთება ძლიერდება საოკუპაციო ჯარს, იქნება საფრანგეთის იმპერიალიზმის დასასრულის დასაწყისი.

X.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

სამოქალაქო ომი გერმანიაში

„**პუანკარეს რესპუბლიკა**": 21 ოქტომბერს რეინის სეპარატისტებმა აახენში დაიკავეს ყველა ადმინისტრატიული შენობები და გამოაცხადეს რეინის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მოძრაობა მოაწყვეს ფრანგებმა.

რეაქცია და წითელი რესპუბლიკები: ცეიგნერი დასთანხმდა მიულერთან უშუალო მოლაპარაკების წარმოებაზე, მიულერმა განაცხადა, რომ ნება დართულია საქსონიაში სურსათის თავისუფალი შეტანის.

რეაქციის წინააღმდეგ: ბერლინის თავისუფალი პროფკავშირები საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან იმ შემთხვევაში თუ მთავრობამ საქსონიის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა.

პური: გირვანქა პური ორნახევარი მილიარდი მარკა ღირს, ბერლინში უსურსათობის ნიადაგზე არეულობა მოხდა.

ბავარია და ცენტრალური მთავრობა: ბავარიის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს თავდაცვის მინისტრის ჰესლერის გადადგომას.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება: გერმანიის მრეწველები შეუთანხმდენ საფრანგეთის მთავრობას ნახშირის მიწოდების შესახებ.

„პუანკარეს რესპუბლიკა"

რეინის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება

ლონდონი. 22 ოქტომბერი. „დეილი მეილის" კელნის კორესპონდენტი იუწყება, რომ კვირას, 21 ოქტომბერს, აახენში (რეინის ოლქში) რეინლანდის სეპარატისტების შეიარაღებულმა რაზმებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქის თვითმართველობა, ფოსტა-ტელეგრაფი, პოლიციის სამმართველო, და სხვა დაწესებულებანი. დაწესებულებათა ხელში ჩაგდებასთან ერთად ყველგან გამოკრული იყო განცხადებანი, რეინის ოლქის დამოუკიდებელ რეინის რესპუბლიკად გამოცხადების და იმის შესახებ, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა და არეულობა შეიარაღებული ძალით იქნება ჩაქრობილი. პოლიციის ის ნაწილი, რომელიც სეპარატისტებს არ მიემხრო, განიარაღებულ იქნა. პოლიციის უმაღლესი თანამდებობის პირების ერთი ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი გადაასახლეს. ქალაქში დადიან სეპარატისტების პოლიციის პატრულები, რომელნიც ბომბებით არიან შეიარაღებულნი. რეინის სეპარატისტების ბელადები დორტენი და მატესი ჯერჯერობით აახენში არ ჩასულან. ფიქრობენ, რომ აახენის ხელში ჩაგდების შემდეგ, სეპარატისტები დაიკავებენ რეინის ოლქის სხვა ქალაქებსა და რაიონებს. „დეილი მეილის" პარიზელ კორესპონდენტის ცნობით, სეპარატისტების შეიარაღებული რაზმები მიემართებიან ბელგიის ზონით ბრიტანეთის ზონისაკენ.

ბელგიის მიმზრული ნეიტრალიტეტი.

ბელგიის უმაღლ. კომისარმა აცნობა სეპარატისტებს, რომელთაც დასწერეს პროკლამაცია რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ, რომ ბელგიის ხელისუფლები გადატრიალებას მოხდარ ფაქტად სთვლიან, და ამიტომ დაიცავენ სასტიკ ნეიტრალიტეტს წესრიგის დაცვისათვის, მთელ პასუხისმგებლობას ისინი აკისრებენ ბელგიის მთავრობას მანამ, სანამ ბელგიის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს მათთან.

მოძრაობა ნაკარნახევია ფრანგების მიერ.

დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ ადვილი შესაძლებელია, რომ მოძრაობა აახენში მოწყობილია ფრანგების მიერ, ამასთანავე მათ შეარჩიეს შესაფერისი მომენტი, რადგან უმუშევრობამ და შიმშილმა ხელი შეუწყო სეპარატისტულ მოძრაობას. მდგომარეობა რეინზე ძალიან სერიოზულია. ყველგან ადგილი აქვს ინცინდენტებს, რომელიც შეიძლება სისხლის ღვრით დამთავრდეს.

გერმანიის წითელ რესპუბლიკებში

სოციალ დემოკრატები თავს იცავენ.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. ცეიგნერმა საქსონიის ლანდტაგში განაცხადა, რომ ბრალდება საქსონიის მთავრობის წინააღმდეგ ინტრიგების თესვაში, რომელსაც კომუნისტები სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მემარჯვენე ფრთას უყენებენ, უსამართლოა. სოციალ დემოკრატ-დეპუტატ ვირტმა პროტესტი განაცხადა ამგვარ ბრალდებათა წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, შეიძლება ჩაითვალონ მთავრობის კოალიციის დასუსტების ცდათ.

გამოსვლის მზადება გაძლიერებულია.

ბერლინი. 19 ოქტომბერი. საქსონიისა და ტიურინგიის წინააღმდეგ ბერლინის გალაშქრების საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს, გამოსვლის საბაბათ სთვლიან პროლეტარულ რაზმების დაშლის შესახებ გაცემულ განკარგულების შეუსრულებლობას და დამფრთხალ მრეწველთა დაცვის საჭიროებას. მზადება გამოსვლისათვის გაძლიერებულია.

კომუნისტ რიულეს დაპატიმრება.

ბერლინი 19 ოქტომბერი. მიულერმა დააპატიმრა და დრეზდენში გადააგზავნა კომუნისტი რიულე.

მღელვარება ოდნავ შენელდა.

ბერლინი. 19 ოქტომბერი. დრეზდენიდან იუწყებიან, რომ საქსონიის პრემიერის გენერალ მიულერთან მოლაპარაკების შემდეგ ღელვარება რამოდენიმეთ შენელდა. თავის წერილში ცეიგნერისადმი მიულერი აცხადებს, რომ მას არ სურს „პრესტიჟის პოლიტიკის", გატარება.

რეაქცია და გერმანიის წითელი რესპუბლიკები

მიულერი უკმაყოფილოა მხოლოდ ...კომუნისტებით.

ბერლინი. 20 ოქტ. ცეიგნერმა წერილით აცნობა მიულერს, რომ ის მზათ არის მოაგვაროს სადავო საკითხები უშუალო მოლაპარაკების გზით. საპასუხო წერილში მიულერი გამოსთქვამს იმედს, რომ საქსონიის მთავრობა დახმარებას გაუწევს მას ცენტრალური მთავრობის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობათა ასრულებაში. დასასრულს მიულერი გამოსთქვამს რწმენას, რომ ცეიგნერი შეიძლებს კანონის ფარგლებში კომპარტიის წევრ—მინისტრების დაჭერას, „რომლებიც, როგორც ჩანს, სცდილობენ დაარღვიონ არსებული კონსტიტუციური უფლებები",

„ფორვერტს"-ი კმაყოფილია ცეიგნერის მიულერის მოლაპარაკებით და იმედს გამოთქვამს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანათ გადაწყდება. გაზეთი სწერს: „თუ ბერლინის და დრეზდენის სოციალ-დემოკრატები ერთად იმუშავებენ წინააღმდეგობათა მოგვარებისთვის, ფაშისტებ სა და კომუნისტების იმედები, რომლებიც მხოლოდ გამოსვლის მომენტს მოელიან, გაცრუებული დარჩება".

მიულერი უკან იხევს.

ბერლინი. 20 ოქტ. გენერალ მიულერმა განაცხადა, რომ მან მიიღო ზომები საქსონიაში სურსათის შემოტანის საქმის გასაადვილებლად და აღნიშნა, რომ საკონტროლო კომისიების მიერ სურსათის რეკვიზიციების განმეორების შემთხვევაში იგი მიმართავს სამხედრო ძალას.

რეაქციის წინააღმდეგ

ბერლინის თავისუფალი პროფკავშირები მხარს უჭერენ წითელ რესპუბლიკებს.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. თავისუფალ პროფკავშირების ბერლინის ორგანიზაციებმა რეზოლუცია მიიღეს, რომელშიაც მოითხოვენ, რომ გამოცხადებულ იქნეს დაუყოვნებლივ საერთო გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გაილაშქრებს საქსონიისა და ტიურინგიის წინააღმდეგ. რეზოლუცია მიღებულია 1500 ხმის უმრავლესობით 50 წინააღმდეგ.

კომუნისტური „როტე შტურმფანე" მოუწოდებს მუშებს დაუყოვნებლივ შეუდგენ პროლეტარულ რაზმების მოწყობას.

პროფკავშირებისა და კომპარტიის მთლიანი ფრონტი.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. კომპარტიის ბერლინის კომიტეტმა წინადადება მისცა პროფკავშირებს გახსნილ იქნეს მოლაპარაკება მთლიანი ფრონტის დაწყების შესახებ.

ბავარიაში

შავი ბავარია და წითელი საქსონია.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. ბავარიის მთავრობის ცნობით, ბავარიის მთავრობამ დაიკავა საქსონიის საელჩოს შენობა მიუნხენში. პასუხათ საქსონიის მთავრობის შეკითხვაზე ამის შესახებ, ბავარიის მთავრობამ განაცხადა, რომ სანამ საქსონიაში იარსებებს მთავრობა, რომელშიაც მონაწილეობენ კომუნისტები, ბავარიის მთავრობა არ მიიღებს საქსონიის ახალ წარმომადგენელს. გარდა ამისა გაზეთები იუწყებიან, რომ ბავარიის მთავრობამ სასწრაფოთ გამოიწვია საქსონიიდან თავისი ელჩი ფონ-პრეგერი.

კონფლიქტი ბავარიასა და ცენტრალურ მთავრობის შორის

ბერლინი. 21 ოქტ. გამწვავებული კონფლიქტი ბავარიისა და ცენტრალურ მთავრობის შორის მოხდა შემდეგნაირად:

მიუნხენის ნაციონალისტურმა გაზეთმა სასტიკათ გალანძღა გერმანიის რეიხსვერის მთავარსარდალის გენერალ სექტის წინააღმდეგ.

ცენტრალურმა მთავრობამ წინადადება მისცა ბავარიის დიქტატორ კარს დაეხურა გაზეთი, რაზედაც უკანასკნელმა უარი განაცხადა.

მაშინ ცენტრალური მთავრობის თავდაცვის მინისტრმა ჰესლერმა უბრძანა ბავარიის ოლქის რეიხსვერის სარდალს გენ. ლოსოვს დაუყოვნებლივ დაეხურა გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერ"-ი.

გენერალმა ლოსოვმა უარი სთქვა ამ ბრძანების შესრულებაზე და განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ეს ჩაიდინოს, რადგანაც მან კარგად იცის, რომ ამის წინააღმდეგ გაილაშქრებს ბავარიის მთავრობა და საერთოდ არც კი გამოდგება ასეთი ბრძანება ბავარიის მიმართ.

ცენტრალურმა მთავრობამ წარუდგინა გენერალ ლოსოვს ბრალდება ცენტრალური მთავრობის ბრძანების შეუსრულებლობაში, ხოლო რეიხსვერის მთავარსარდალმა გენ. სექტმა წინადადება მისცა ლოსოვს გადამდგარიყო.

გენერალი ლოსოვი არც ამ ბრძანებას დაემორჩილა, ხოლო როდესაც თავდაცვის მინისტრი ჰესლერი პირადათ ჩავიდა ბავარიაში გენ. ლოსოვთან მოსალაპარაკებლათ, უკანასკნელმა უარი სთქვა მასთან მოლაპარაკებაზე და დაავალა მთელი ინციდენტის გარჩევა ბავარიის მთავრობას.

გენერალ ლოსოვის მოხსენების თანახმად, ბავარიის მთავრობამ აცნობა კანცლერ შტრეზემანს და ცენტრალურ მთავრობას იმის შესახებ, რომ ის უარს აცხადებს შემდეგი ოფიციალური დამოკიდებულება იქონიოს ცენტრალური მთავრობის თავდაცვის მინისტრ ჰესლერთან და გერმანიის რეიხსვერის მთავარსარდალ გენერალ სექტთან.

ბრძანება გენერალ ლოსოვის გამოწვევის შესახებ ჩაბარებული იყო მისთვის გუშინ, მაგრამ უკანასკნელ წუთში კონფლიქტმა მოულოდნელათ სხვა მიმართულება მიიღო, იმის გამო, რომ კონფლიქტში ჩაერია შტრეზემანი: მოსალოდნელია ახალი მოლაპარაკება ბავარიის მთავრობასთან, რომლის საშუალებითაც ცენტრალურ მთავრობას იმედი აქვს, რომ მოაგვაროს კონფლიქტს.

საფრანგეთის პრესა, ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იტყობინება, რომ გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა წინადადება მისცა ბავარიის მთავრობას წამოაყენოს ორი თავისი კანდიდატი გენერალ ლოსოვის ადგილზე, რომელიც მოხსნილი იქნება თანამდებობიდან; ამაზე ბავარიის მთავრობამ უპასუხა, რომ ის მოითხოვს, რომ გენერალი ლოსოვი დარჩეს ბავარიის ოლქის რეიხსვერის მთავარსარდლათ.

სეპარატისტებს უხარიათ

ბერლინი. 20 ოქტ. „ფოსსიშე ცაიტუნგ"-ი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბავარიის წრეები სახელს უტეხენ ცენტრალურ მთავრობას და ხიდებს ამზადებენ სეპარატისტულ გეგმების განხორციელებისათვის.

თვითეული თავისას გაიძახის

ბერლინი, 20 ოქტ. „ბერლინერ ტაგებლატი"-ი (დემოკრატების ორგანო) აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გადაწყვეტილებამდე მივა, პასუხისმგებლობა ამისათვის დაეკისრება ბავარიას. ცენტრალურ მთავრობას ერთი გზა რჩება: გაამტკიცოს თავისი ავტორიტეტი საქსონიისა, და ბავარიაში.

„ფორვერტს"-ი სწერს: „თუ დადგა დრო სახელმწიფოს დაშლისათვის, ეს იქნება ნიშანი მისი ახალი შეკრებისათვის. ბალტიის ზღვიდან ალპებამდის იფეთქებს მოძრაობა, რომელიც მიმართული იქნება მთლიანობის აღდგენისაკენ; მოძრაობას მეთაურობას გაუწევს სოციალ-დემოკრატია".

შავრაზმელები თარეშობენ.

ბერლინი. ნაციონალურ ახალგაზრდობის კრებაზე მიუნხენში, სადაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა როსსბახი, გამოვიდნენ აგრეთვე ჰიტლერი და ფაშისტური მოძრაობის სხვა მეთაურები.

გაფართოებული კამპანია ბერლინის წინააღმდეგ.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. შტრეზემანის ცდამ, რომ საქსონიასთან მომხდარ კონფლიქტის გამო ბავარიაზე ზეგავლენით შექმნას მისი უპარტიობის შთაბეჭდილება, გააფართოებული კამპანია გამოიწვია ბავარიის მხრივ ბერლინის წინააღმდეგ.

ბავარიის მთავრობა კვლავ კატეგორიულად და დაჟინებით მოითხოვს ჰესლერის გადაყენებას და უარს აცხადებს რეიხსვერის სარდლობასთან ურთიერთობის განახლებაზე.

სოციალ-დემოკრატიული და დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ **ბავარია პროვოკაციას ეწევა ბერლინის წინააღმდეგ** და აღიარებს, რომ ეხლა სახელმწიფოს მთლიანობა განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეშია.

კიდევ ერთი ფაქტი.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, გერმანიის რეიხსვერის სარდალმა ლოსოვმა ღია დეპეშაში რეიხსვერის მთავარ სარდლის გენერალ სექტის სახელზე, უარი განაცხადა სექტის ბრძანების შესრულებაზე ჰიტლერის გაზეთის „ფოლკიშერ ბეობახტერ"-ის დახურვის შესახებ. სექტმა დაუყოვნებლივ წინადადება მისცა ლოსოვს გადამდგარიყო ნებაყოფლობით თავისი თანამდებობიდან, რაზედაც ლოსოვმა უარი განაცხადა. მაშინ თავდაცვის მინისტრი ჰესლერი გაემგზავრა აუგსბურგში და იქ მან წინადადება მისცა ბავარიის გენერალ კრეზენშტეინს დათანხმებოდა ლოსოვის გადადგომისთვის. კრეზენშტეინმა ინახულა ლოსოვი, რის შემდეგ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ აცნობა ბავარიის მთავრობას კრეზენშტეინთან თავისი საუბრის შესახებ. შედეგში თვით კრეზენშტეინი აიძულებს გადამდგარიყო.

გერმანიის მთავრობის „ლონისძიებანი"

პროფესიონალურ მოძრაობის მოღვაწეები მარცხნივ იხრებიან.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. მძიმე ფინანსიურ კრიზისის გამო, პროფკავშირები ძალიან ამცირებენ შტატებს. პროფესიონალური ბიუროკრატიული აპარატი, რომელსაც აქამდის დისციპლინის ბრჭყალებში ჰყავდა მომწყვდეული მასები, ეხლა სტიქიურათ იშლება, ამას შედეგათ მოჰყვა პროფესიონალურ მოძრაობის მოღვაწეთა მარცხნივ გადახრა.

სრული სასოწარკვეთილება.

ბერლინი. 20 ოქტომბერი. პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ ფინანსიური გაჯანსაღება შეუძლებელია. ნაღდი ფულის თავისუფალი თანხა არ აღემატება 100 მილ. ოქროს მარკას.

გირვანქა პური—ორნახევარი მილიარდი ღირს

პური—მიუწვდომელი ფუფუნებაა.

ბერლინი, 20 ოქტომბერი. დოლარის არა ოფიციალური კურსი უდრის 20 მილიარდ მარკას. პურის ფასი ერთ მილიარდ მარკიდან ავიდა 2 ნახევ მილ. მარკამდე. ამის გამო დაარბიეს პურის დუქნები.

არეულობა უსურსათობის ნიადაგზე ბერლინში.

რომი, 22 ოქტომბერი, სურსათის შეუწყვეტელ გაძვირების ნიადაგზე, ბერლინის სხვადასხვა კუთხეში გაიმართა დემონსტრაციები, რომლებსაც შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

მრეწველთა შეთანხმება ფრანგებთან.

პარიზი. 22 ოქტ. ოტოტ ვოლფის სამრეწველო კონცერნმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ფრანგებთან მოკავშირეებისათვის უფასოთ ნახშირის გაცემის შესახებ კონტრიბუციის ანგარიშზე. ხვალ სტინესის ჯგუფი განაგრძობს მოლაპარაკებას ამავე საგანზე. გარპენერის ჯგუფმაც გამოსთქვა აგრეთვე სურვილი ასეთივე მოლაპარაკების დაწყებაზე.

შტრეზემანი ეხმარება მრეწველებს.

პარიზი. 22 ოქტ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობა იღებს მაღაროების მესაკუთრეების წინადადებას მოკავშირეებისათვის ნახშირის გადახდაზე 1924 წლის აპრილამდე იმ პირობით, რომ ნანახშირო ხარკის გადახდას გერმანიის მთავრობა იკისრებს.

საფრანგეთს გერმანიის შეზღუდვა სურს.

ლონდონი. 19 ოქტომბერი. „მანჩესტერ-გარდიენ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პუანკარეს პასუხი გერმანიისადმი შემდეგია: საფრანგეთი რჩება რურში ნატურის გადასახადის შეტანის განახლებამდე, უარს აცხადებს რურიდან გადასახლებულ გერმანელ მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნებაზე და მოითხოვს საფრანგეთის კონტროლის ქვეშ ყველა იმ რკინის გზების გადაცემას, რომლებიც აქამდე გერმანიის ადმინისტრაციის განკარგულებაში იყვნენ, მათ შორის იმ ხაზის გადაცემასაც, რომელიც აერთებს გერმანიას და ჰოლანდიას ფრანკფურტ—ვეზელის მიმართულებით.

პუანკარემ დაარღვია თავისი დაპირება—დაიწყოს მოლაპარაკება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტიდან 24 საათის შემდეგ. კორესპონდენტის აზრით, ვერსალის ხელშეკრულების ძალით, გერმანიის მთავრობას უფლება აქვს არ განაახლოს ნატურალურ გადასახადის შეტანა.

გერმანიას სდებენ ბრალს.

„ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი გამოსთქვამს აზრს, რომ შესაძლებელია საფრანგეთი დაკმაყოფილდეს ნატურალურ გადასახადის შემცირებულ მასშტაბით შეტანით, რადგან პოლიტიკური წრეები მოითხოვენ, რომ გერმანიის მთავრობამ ყოველგვარათ უნდა შეუმსუბუქოს საფრანგეთს გერმანიის მრეწველებთან შეთანხმება, აქამდე კი არც ერთი შეთანხმება არ დასრულებულა ნაყოფიერათ, რის მიზეზს ფრანგები ხედავენ გერმანიის მთავრობის წინააღმდეგობაში.

იმპერიალისტები და გერმანიის ამბები

როგორ „შეიკავებენ თავს“ ფრანგები ჩარევისაგან.

შემდეგ ლუშერმა განაცხადა, რომ თუ ოკუპაციის გარეშე გერმანიაში იფეთქებს რევოლიუცია, საფრანგეთი თავს შეიკავებს ჩარევისაგან, მაგრამ საფრანგეთის ჯარები უთუოდ დაიცავენ „წესრიგს“ საოკუპაციო ოლქებში.

რევოლიუციის პერსპექტივები.

ლუშერმა თავი შეიკავა რაიმე აზრის გამოთქმაზე საფრანგეთის და პოლონეთის პოზიციის შესახებ, რომელიც ამ სახელმწიფოებმა დაიჭირეს რუსეთის მიერ რევოლიუციონურ გერმანიისათვის სურსათ-სანოვაგის გამოგზავნის შიმართ, მაგრამ მან აღნიშნა, რომ საფრანგეთის და პოლონეთის ინტერესები არ მოითხოვენ გერმანიის დამშევას. გერმანიის რევოლიუციის შემთხვევაში საფრანგეთი იძულებული გახდება გაიღოს ფინანსები რურის მრეწველობისათვის და მუშათა ხელფასის გადახდა საფრანგეთის ხაზინიდან, რისთვისაც შემოღებული იქნება საფრანგეთის და ბელგის მიერ უზრუნველყოფილი ფულის ნიშნები.

საფრანგეთი და ესტონეთი

საფრანგეთმა წინადადება მისცა ესტონეთს დაიწყოს სამხედრო მოქმედება ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ.

რეველი. 20 ოქტომ. ესტონეთის სახელმწიფო კრების პრეზიდიუმმა უარი განაცხადა კომფრაქციის შეკითხვის მიღებაზე; შეკითხვა ეხება საფრანგეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ ესტონეთმა დაიწყოს სამხედრო მოქმედება ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში იფეთქებს რევოლიუცია. ხუთშაბათს, სახელმწიფო სხდომაზე, კომუნისტებმა გამოაქვეყნეს შეკითხვის ტექსტი.

„როდის იყო საფრანგეთის მიერ მიცემული წინადადება სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ და როგორი ფინანსიურ დახმარებას იძლევა საფრანგეთი? როგორია მთავრობის პასუხი? მართლა შეიქმნა თუ არა მთავრობაში ორი მიმართულება ამ საკითხის გარშემო, იცის თუ არა არმიამ მოსალოდნელ ომის შესახებ.

ბულგარეთში

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ

სოციალ-დემოკრატები კიცხავენ.

ვენა. 20 ოქტომ. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ჰკიცხავს როგორც რევოლიუციონერების, ისე მთავრობის მიერ შექმნილ ექსცესებს.

ბულგარეთის წითელ პროფკავშირთა მოთხოვნილება.

ვენა. 20 ოქტ. ბულგარეთის წითელ გაერთიანებულ პროფკავშირთა დელეგაციამ ნშინაგ. საქმეთა მინისტრს რუსევს მოსთხოვა, რათა გაათავისუფლოს პროფორგანიზაციების დალუქული ბინები, გააუქმოს განკარგულება პროფკავშირთა კრებების აკრძალვისა, განთავისუფლოს პროფკავშირთა დაპატიმრებული წევრები, დასტური მისცეს პროფკავშირთა აკრძალულ ორგანოს „შრომის“ გამოცემისა, ზომები მიიღოს სიძვირისა, უმუშევრობისა და ბინების უქონლობის წინააღმდეგ.

რუსევმა აღუთქვა ხსენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

რუმინეთის კომპარტიის დახმარება.

ვენა. 20 ოქტომბერი. რუმინეთის კომპარტიამ დაიწყო მუშაობა ბულგარეთის დატუსაღებულ ლტოლვილთა და განიარაღებულ მეომართა განთავისუფლებისათვის და აგრეთვე დაიწყო მათთვის შემოწირულებების შეგროვება.

სხვადასხვა

პოლონეთი

სურთ უთავოთ დასტოვონ მუშათა მოძრაობა.

ვარშავა. 19 ოქტ. გაზ. „რაბოტნიკი“ იტყობინება, რომ დომბროვოს რაიონში დაწყებული გაფიცვა გრძელდება. მუშათა შორის დიდი მღელვარებაა გაფიცულ მუშების მიტინგების და კრებების აკრძალვის გამო. გაზეთი ფიქრობს, რომ გაფიცვა, შეიძლება ხელახლა გავრცელდეს ზემო სილეზიაში, სადაც მუშები უკმაყოფილონი არიან გაფიცვის შედეგებით. პოლონეთის მთავრობა ახდენს ზემო სილეზიაში მასიურ დაპატიმრებას, რათა უთავოთ დასტოვონ მუშათა მოძრაობა.

მინისტრი ნაწყენია.

ვარშავა. 19 ოქტომბერი. მთავრობის გაკრიტიკების შემდეგ ვარშავის ციტადელის აფეთქების გამო, სამხედრო მინისტრმა შეპტიცკიმ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. ფიქრობენ, რომ გადადგომას არ მიიღებენ.

ფარავენ პოლონეთის ნამდვილ მდგომარეობას.

ვარშავა. 19 ოქტ. მთავრობის კომისიამ გამოარკვია სიძვირის ზრდა 2 კვირის განმავლობაში 86 პროცენტში, რამაც გამოიწვია მუშათა მასების აღშფოთება, რადგან ფასების ნამდვილი ზრდა უდრის 250 პროცენტს.

კომუნისტების საქმე.

ჰელსინგფორსი. 19 ოქტ. სეიმმა მოისმინა პროკურატურის ცნობა, რომ სეიმის დეპუტატებს —კომუნისტებს ედებათ ბრალი ბოროტ განზრახვაში უზენაეს ხელისუფლების წინააღმდეგ. საქმის გარჩევა 18 ნოემბერს დაიწყება. სხდომაზე მოსული კომუნისტი პულკინენი,—სეიმის კომფრაქციის ერთად ერთი წევრი, რომელიც ჯერ თავისუფალი იყო,—დაპატიმრებულ იქნა სეიმიდან გამოსვლისას.

საბერძნეთი.

ახალი კაბინეტი.

რომი. 20 ოქტ. ათინიდან იტყობინებიან, რომ შესდგა ახალი კაბინეტი, რომელშიაც შედიან: სალტურის—გარეშე საქმეთა მინისტრი, რუსოს—შინაგან საქმეთა მინისტრი, კატეხაკის—სამხედრო მინისტრი დასტრატიგოპულოს—იუსტიციის მინისტრი.

იტალია.

კომუნისტების პროცესი.

რომი. 19 ოქტომბერი. დაიწყო ბორდიგას 29 და სხვა კომუნისტის საქმის გარჩევა. ტრიბუნალის დარბაზი სავსეა მუშათა დელეგატებით. დაკითხვის დროს ბორდიგამ განაცხადა, რომ კომპარტიისათვის ბრალდების წაყენება, თითქო ის შეთქმულების ორგანიზაციას წარმოადგენს, უსაფუძვლოა, რადგან კომპარტია ამზადებს გადატრიალებას პროპაგანდით და მუშათა მასების ორგანიზაციის საშუალებით.

ტრიბუნალის მთავრობის შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს იტალიის კომპარტია საბჭოთა მთავრობას, ბორდიგამ უპასუხა, რომ კომპარტიას დამოკიდებულება აქვს მხოლოდ კომინტერნთან, რომელიც კერძო, საბჭოთა მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია არის. ბორდიგას სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე, თვით კომპარტიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზეც.

უცხოეთის ცხოვრება

სამხედრო დიქტატურა ესპანეთში

მოძრაობის მიზეზები: დეფიციტი. მაროკოს პრობლემა. რეპრესიების აუცილებლობა. მონარქიის დაცემა მოვლენების გაკვეთილი.

ევროპაში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი რეაქციონური დიქტატურა, რომელსაც არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა დემოკრატიზმის. 13 სექტემბერს გენერალ პრიმო დე-რივერამ მოისურვა გადააყენებია ალიუსემას ლიბერალური მთავრობა, დაითხოვა მადრიდის პარლამენტი და სანაგვე ყუთში გადააყარა დრო მოჭმული დოკუმენტი—ე. წ. „ესპანეთის სამეფოს კონსტიტუცია“. მეორე დღეს მეფე ალფონსი მიესალმა ახალ პრემიერს.

ბარსელონას სამხედრო გადატრიალებით ბოლო მოეღო ძალაუფლებისათვის ბრძოლას, რომელიც 6 წელს გრძელდებოდა.

4 ფაქტორი განსაზღვრავს ესპანეთის პოლიტიკურ მცხოვრებს:

1) დეფიციტი, 2) მაროკოში დამარცხება, 3) მუშათა მოძრაობის ჩაქრობა. 4) მონარქიის აუცილებელი აღსასრული.

დეფიციტი ძალიან დიდია. იგი დღითი-დღე მატულობდა სისტემატიურად. 1920 წელს დეფიციტი უდრიდა 872.000.000 პ. 1921—22 წ. იგი მილიარდს აღემატებოდა (დაახლოვებით 2.350.000.000 ფრ.) ეს დეფიციტი გამოწვეულია უმთავრესად მაროკოს კამპანიით.

ესპანეთის მაროკო არასოდეს არ ყოფილა დამშვიდებული. იქ სწარმოებს ბრძოლა დროგამოშვებით 1909 წლიდან უკვე რამდენიმე წელიწადია ესპანეთს მაროკოს პატარა ტერიტორიაზე თავმოყრილი ჰყავს 150,000 ჯარისკაცი, რომელნიც ხშირად მარცხდება. ეს დამამცირებელი და საბედისწერო კამპანია დაუსრულებლად სწარმოებს. უკიდურესობამდე მიყვანილ ესპანეთს არ შეუძლია გააორკეცოს საექსპედიციო კორპუსი, რომელიც აშკარად ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მაგრამ ესპანეთის ხალხს მოსწყინდა ეს დაუსრულებელი, უშედეგო ბრძოლა.

არავითარი ეროვნული აღტყინება აღარ მოქმედებს ამაზე ყოველთვის, როცა მელილიაში იგზავნება დამხმარე ძალები, მთელ ესპანიაში გაისმის სპორადიულად საპროტესტო ხმები. ჯარისკაცები არ სხდებიან გემებზე, სამხედრო ფლოტის ძალდაუტანებლად. ამას წინად, 25 აგვ., სისხლის მღვრელმა სამხედრო ამბოხებამ იფეთქა მალაგაში, აგრეთვე მღელვარებანი დაიწყო სევილიასა და გრანადაში. ამგვარად ომს თან ერთვის ქვეყნის შიგნით მუშათა მოძრაობის ჩაქრობაც, რომელიც გამოწვეულია კიდევ სხვა მიზეზებითაც.

1917 წ. დაიწყო მუშათა მოძრაობაც, რომელიც გაძლიერდა ომის დროის მრეწველობის განვითარებით. ბარსელონასა და ვალენსიაში დაწყებულ არეულობის წინ, ა. წ. აგვისტოში პროლეტარიატი არაჩვეულებრივმა იმედებმა მოიცვა, მაგრამ მას არ ჰქონდა არც მტკიცე ორგანიზაცია და არც კონკრეტული პროგრამა, არც ნათელი წარმოდგენა პოლიტიკასა და რევოლიუციონურ ძალაზე. ერთი წლის შემდეგ დიდებულად ჩატარებულმა გაფიცვებმა დაანახვეს კატალონის ბურჟუაზიას, როგორ კლასიურ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა მას საქმე.

შრომის ეროვნული კონფედერაცია, რომელიც ის იყო დაარსდა, ჰყავდა ერთ მილიონამდე წევრი (1919 წ.) ამ მუშათა ძალამ დაიწყო იერიშების მიტანა გაფიცვების გამოცხადებით კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ძალა ვერ ჩამოყალიბდა ძლიერ ორგანიზაციაში, რადგან კლასთა ბრძოლის ცნებას ხშირად ურევდენ სულგრძელ, იდეალისტურ და გულუბრყვილო ანარქისტულ იდეოლოგიასთან. უხეში ბატონობის წინააღმდეგ მან მიმართა (ძველი ანარქიული მეთოდი) ტერორს. კატალონის ბურჟუაზია ბევრი დათმობის შემდეგ დაუბრუნდა თავის ძველ მეთოდებს: თეთრი ტერორის ხანა იწყება 1919 წლ. ნოემბრიდან და გრძელდება 1922 წლამდე. თავისუფალ სინდიკატის პროფესიონალური მკვლელები ხოცავენ კატალონიაში 400-ზე მეტ მებრძოლ მუშას.

ბარსელონას გუბერნატორი, მარტინეცანიდო ციხეებში ჰყრის ათას მუშას. იმ დროს, როდესაც კატალონის პროლეტარიატს ამშვიდებენ ციხეებით, ხიშტებით და დახვრეტით, ჩაქრობილი იქნა დიდი გაფიცვები ასტურის მაღაროებში, სადაც სჭარბობდა სოციალისტური გავლენა და რომელიც მიტოვებული იყო რეფორმისტების მიერ. მშრომელთა საყოველთაო კავშირი და სოციალისტური პარტია ხმას არ იღებენ ბარსელონას რევოლიუციონერების ამოხოცვის გამო, რათა ჩაახშონ ასტურიის მუშებში კლასიური თვითშეგნება. მათი წინამძღოლები სინდიკატებიდან გამორიცხულად აცხადებენ კომუნისტებს... თეთრი ტერორის დასრულების შემდეგ ბარსელონას ანარქისტების ბელადები იწყებენ თავის მხრივ პროპაგანდას კომუნისტების და რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ.

სამხედრო დიქტატურის სახით, მსხვილ მემამულეების და მრეწველთა დიქტატურა კიდევ უფრო გაძლიერდება და მიაღწევს თავის მიზნებს კლასთა ბრძოლაში. ის არ დააყოვნებს თავს დაესხას ისედაც დაზარალებულ მუშათა კლასს. მაგრამ მას არ შეუძლია გადასდგას გადამწყვეტი ნაბიჯები: ვერც იხსნის სიკვდილის პირას მიმდგარ დინასტიას, ვერც დაფარავს დეფიციტს, ვერც მაროკოს პრობლემას გადასწყვეტს და ვერც კლასობრივ შეგნების გამოღვიძებას შეაჩერებს, რადგანაც რეაქცია ისტორიის მსვლელობის წინააღმდეგ მიდის: იგი ვერაფერს ვეღარ შექმნის, ვერაფერს ვეღარ ააშენებს. ყველაზე დიდი, რაც მას შეუძლია ჩაიდინოს, ეს არის ისტორიის მსვლელობის დროებითი შეჩერება, რითაც ის დიდ უბედურებას დაატეხავს თავზე, ხალხთა მასებს და გამოიწვევს აუცილებელ გადატრიალებას.

საკავშირო გამოფენის დახურვა

მოსკოვი. 22 ოქტ. 21 ოქტომბერს მოხდა გამოფენის ოფიციალური დახურვა. მშრომელები მოვიდნენ ზეიმზე რაიონებიდან ორკესტრებით და დროშებით. მიტინგზე გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენა არ მოკვდება. საკავშირო გამოფენას მოჰყვებიან გამოფენები ადგილებზე, საგუბერნიო და სამაზრო მასშტაბით, და მიუთითა გამოფენის განსაკუთრებულ როლზე ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცების და გლეხთა მასების ცოდნის გაფართოების საქმეში.

ამხ. პოდვოისკიმ აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის სრული აღდგენისა და საბჭოთა კავშირის მტრებისაგან დაცვისათვის აუცილებელია გაერთიანება მეცნიერების, პრაქტიკისა და ვინტოვკის. ასეთი გაერთიანება იქნება შეურყეველი ძალა.

გამოფენის საამშენებლო მუშათა კავშირის წარმომადგენლებმა ამხ. მარშევმა განაცხადა, რომ მუშები მზათ არიან მოახმარონ მთელი თავისი ძალები სახელმწიფოს მეურნეობის აღდგენას. ამხ. მარშევის სიტყვის დროს ტრიბუნას მიუახლოვდა ბუდიონელების ნახევარ-ესკადრონი ბრიგადის კომანდარ ტიულენევის მეთაურობით, რომელმაც წითელ კავალერისტების სახელით აღუთქვა დამსწრეთ რუსეთის მშრომელთა ინტერესების დაცვა.

შემდეგ გაიმართა წითელ მიწისმუშების ზეიმი. გამოფენის დახურულათ გამოცხადების შემდეგ, მთავარ შემოსავალთან ჩამოუშვა ფარდა. დამსწრეები ინტერნაციონალის ხმებში დაიშალენ გამოფენის ადგილიდან, პავილიონების დასათვალიერებლათ.

„თუ გსურს ზავი—მზად იყავ ომისთვის“

„იზვესტია“-ს წერილი

„მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებმა სავსებით საფუძვლიანათ გაკიცხეს ჩვენი ბრძოლის მოყვარული მეზობლების თავხედური გამოსვლები—საბჭოთა ხელისუფლება მუდამ იცავდა და ალბათ მომავალშიაც დაიცავს მშვიდობიან პოლიტიკას. ჩვენ არ ვისახავთ მიზნათ დასავლეთ ევროპის საქმეებში ჩარევას. ჩვენ ვიცავთ იმ აზრს, რომ თუ გერმანიაში მოხდა რევოლიუცია, მისი გამარჯვება დამოკიდებული იქნება შინაურ ძალთა განწყობილებაზე. გერმანიის მუშათა კლასი საკმაოთ ძლიერია იმისათვის, რომ დაამარცხოს ფაშიზმი.

საბჭოთა რუსეთის მშრომელი მასებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის სამოქალაქო ომის შედეგებს. თუ გაიმარჯვა გერმანიის რევოლიუციამ, ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები სასტიკ ბრძოლას გაუმართავენ გერმანიის ძლევამოსილ რევოლიუციას, ვინ იცის, შესაძლოა გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა, ახალ საერთაშორისო ომათ გადაიქცეს. თუ ბრძოლა გერმანიის მუშათა კლასის დამარცხებით დამთავრდა, ჩვენ არ გვაქვს იმის გარანტია, რომ გამარჯვებული რეაქციის ხიშტი არ იქნება მიმართული პირველი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

პოლონეთის რყევა ს. ს. რ. კ. ცნობის საქმეში, არ გვაძლევს ჩვენ იმის რწმენას, რომ ჩვენი მეზობელი უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას ჩვენს დასავლეთის საზღვრებზე. მოსალოდნელია წინააღმდეგი. ამ მერყეობაში, და ამას წინათ დადებულ პოლონეთ-რუმინეთის შეთანხმებაში ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ საფრთხე ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკისათვის.

ყველაფერი ეს აიძულებს საბჭოთა ქვეყნის მშრომელ მასებს ფრთხილათ იყონ. ჩვენ განვაგრძობთ მშვიდობიან შრომას, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ ახალი თავდასხმის მოსაგერიებლათ. ჩვენი სამეურნეო ფრონტის განმტკიცება—უპირველესი ამოცანაა. ამ ფრონტზე გამარჯვებისაგან დამოკიდებულია ს. ს. რ. კ. ძლიერება, რაც საბჭოთა ქვეყნის და ევროპის მშრომელთა მშვიდობიანი ცხოვრების საწინდარს წარმოადგენს“.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. კლიმენტი სულავას გამოწვევის საპასუხოთ, შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში ერთი ჩერვონეცი და ვიწვევ ჩემის მხრივ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისიდან—სერგო მამაჯანოვს, ალექსი ნაკაძეს, თომა ბოლქვაძეს, მართა შარაშიძეს, კატო მიქაძეს, აქვსენტი პაპავას, შალიკო ცაგარეიშვილს და ლადო ლეჟავას.

რიტა ალავერდოვისა.

ვალიკო კუპატაძეს გამოწვევაზე, შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანელ მუშების დასახმარებლად.

ი. თევზაძე.

ახალსენაკის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებს შემოგვაქვს 132.300.000 მანეთი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ, ვიწვევთ შემდეგ ფ.-ტ. კანტორების მუშა-მოსამსახურეებს:

1. ფოთის, 2. ქუთაისის, 3. ზესტაფონის, 4. ბორჯომის, 5. ბათომის 6. ზუგდიდის, 7. თელავის და 8 ოზურგეთის.

დარწმუნებული ვართ ყველანი შეასრულებენ თავიანთ პროლეტარულ მოვალეობას.

ხენაკის ფ.-ტ. მომუშავენი.

შემომაქვს რა ჩემი წვლილი, ასი მილიონი მანეთი გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ პასუხად ამხ. კ. სულავას გამოწვევაზე, ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: შ. ელიავას, კ. ცინცაძეს, ბ. მდი ვალ. ალ. ვაშაძეებს (ტფილისი), სერგო ხვედელიძეს, ვ. კუპატაძეს, მ. სი გეევს, (კომ. მუშ. მოს. კავშ.) რამიშვილს, (ბათომში, კომუნ. გან. გამგე) ფოთის კომუნალურ განყოფილების გამგეს, (გვარი დამავიწყდა) პოლიევქტ აბესაძეს, (ჭიათ.) ი. მუჯაძეს, ანდრო, პეტრე, ნიკო და პეტრე მუჩაიძეებს, ივანე ბოლქვაძეს (პოლიგრ.) სოლომონ რუხაძეს (ნახახულევის თემის აღმასკომი), გერონტი რუხაძეს, (ტფილისი) სანდრო რუხაძეს, (ტფილისი), გ. ყურულიშვილს, ს. ჯულელს, გრ. ჯულელს, გერმანიის ერის მშრომელი კლასი სხვა ერთა მშრომელ კლასთა დახმარებით კომინტერნის ხელმძღვანელობით დასძლევს ყოველივე დაბრკოლებებს, გადალახავს რეაქციის ზღუდეებს მოვა გამარჯვებული ბრძოლის ველიდან.

ჭიათურა გ. რუხაძე.

შემომაქვს 66.200.000 მან. ამხ. ს. ჯორბენაძის ს. ფრანგულიანცის და გ. ფანცხავას გამოძახვით და ჩემის მხრივ ვთხოვ ყველა იმ ჩემს კლიენტს, რომლებიც რითიმე არიან ჩემით დავალებულნი, შემოიტანონ შეძლების დაგვარათ თავისი წვლილი.

ექ. მ. ზანდუკელი.

ამხ. ლადო დუმბაძეს გამოწვევის საპასუხოდ შემომაქვს 63.000.000 მ. გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კოლია ოკუჯავას, სერგო ბერაძეს, (ქუთაისი) გელ დონაძე, დომენტი ჰოჭუას, (თბილისი), დათიკო მუქერიას, ფილიმონ მსტრიქველს, საშა ფროიძეს, ვლადიმერ [illegible] (ფოთი), იოსებ ცხაკაიას და დამზღვევ კასის თავმჯდომარე ამხ. ბექვაიას (ზუგდიდი).

არტემ ნადარეიშვილი.

ვარდგენ რა ამასთანავე ორმოც მილიონ მანეთს (40 მილ.) გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ, ჩემი მხრიდან ვიწვევ შემდეგ ჩემს მეგობრებს: 1. გერასიმე ქავჯარაძეს, 2. სერგო ანთაძეს, 3. ვასიკო კორძაიას, 4. ივანე მუსელიანს, 5. ვახტანგ ქუთაისოვს, 6. ისაკი ურუშაძეს, 7. ლავრენტი ბაღაშვილს, 8. გრიშა ახვლედიანს, 9. ვარლამ ხაჯალიას, 10. სოლომონ გარუჩავას, 11. არჩილ ვაჩნაძეს, 12. ვახტანგ როსტომაშვილს, 13. შალვა აბესაძეს, 14. ვალიკო ქლენტს, 15. ვლადიმერ რატიანს, 16. შალვა რატიანს, 17. სტეფანე მოისრაფეშვილს, 18. ილარიონ ცქვიტინიძეს, 19. იასონ სიმონიშვილს, 20. გედეონ ქუთათელაძეს, 21. ბიჭიკო სულავას, 22. აკაკი შონვირაძეს, 23. ალექსი იანოვსკის, 24. ალექსანდრე გრიგოლიას, 25. ალექსანდრე გაბელიას.

მიშა ახალაძე.

აზნენ უმბრიევის გამოწვევის თანახმად, შემომაქვს გერმანიის მუშების სასარგებლოთ 4 მანეთი ვერცხლის ფული და სამი მილიონი ბონებით და ვიწვევ შემდეგ პირებს.

1. ანნა ვარლიძისა, 2. სოფიო ალხანაშვილისა, 3. ნატალია სათაშვილისა, 4. ეკატერინე უკოვისა, 5. მელანია მეტრეველისა, 6. ბარბარე ელიაძისა, 7. ნინო მელვინიშვილისა, 8. ლიზა რატიანიძისა, 9. ვერა სვიმონიშვილისა, 10 თამარა რთველიაშვილისა, 11. ალათია ტოროშელიძისა, 12. სოფიო ინაშვილისა, 13. ოლია ნატრაშვილისა, 14. ნინა ლაცაბიძისა, 15. ეფემია ლაცაბიძისა, 16. მარიამ ლაცაბიძისა, 17. ნინო ცოტნიაშვილისა, 18. ნინო საყვარელიძისა, 19. ნატალია გლუმკოვისა, 20. ანნა გოგიაშვილისა, 21. ტასია ვიგრიბიშისა, 22. ანნა ნაზარბეგიშვილისა, 23. ნატა შატკაშვილისა, 24. ეფემია კობახიძისა, 25. მარიამ სურამელაშვილისა, ვერიჩკა მერაბაშვილისა, 27. მარუსია ნაუმოვისა, 28. აგრაფინა ერაძისა, 29. ქეთო მელაძისა, 30. ლიზა ზუბკოვისა, 31. ნინა ნეფარიძისა, 32. ინკა ჭავჭავაძისა, 33. მარიამ გიორგობიანისა, 34. ნინო ალხაშვილისა, 35. სოფიო ქურდოვანიძისა, 36 სოფიო შალამბერიძისა, 37. ეკატერინე ბერუაშვილისა, 38. დარია ქებაძისა, 39. მაკრინე კოლხ შვილისა, 40. ნატალია მაჩაბელაშვილისა, 41. ანნა მეტრეველისა, 42. ალექსანდრა ბარისოვისა, 43. ლიდა გოდერძიშვილისა, 44 ფოფინე ტორო შელიძისა.

ეფემია თაქთაქიშვილისა.

შემოვიდა 22 ოქტომბერს

1) რიტა ალავერდოვისა 1 ჩერ., 2) ი თევზაძე 1 ჩერ., 3) ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისაგან 132.300.000 მ., 4) გ. რუხაძე 100.000.000 მ., 5) ზანდუკელი 66.200.000 მ., 6) ა. ნადარეიშვილი 63.000.000 მ., 7) მ. ახალაძე 40.000.000 მ., 8) დ. მახარაძე 1 ოქროს რგოლი ბეჭედი, 9) ე. თაქთაქიშვილი 4 ვერცხლის მანეთი და 3.000.000 მ.

სულ 2 ჩერვონეცი 404.500.000 მანეთი, ერთი ოქროს რგოლი ბეჭედი და 4 ვერცხლის მანეთი.

წინეთ შემოსული: 249 ჩერვონეცი, ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, სამი ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 7 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს იამჯური, 1 ოქროს საგული, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი. 15 ვერცხლის მანეთი, 1 ვერცხლის პორტსიგარი და 3.201.732.000 მანეთი.

წერილები ბერლინიდან

სისხლისღვრის კვირა დიუსელდორფში.

16 მოკლული, ათასობით დაჭრილი—ასეთია სეპარატისტების „მშვიდობიანი“ დემონსტრაციების შედეგი დიუსელდორფში 30 სექტემბერს. საფრანგეთის პოლიცია ჩაერია, რომ აღედგინა წესრიგი მხოლოდ „რეინლანდის რესპუბლიკის“ იმ მანიფესტანტების სასარგებლოთ, რომლებიც თავს დაესხნენ მწვანე პოლიციას. და ეს ტრაგიკული ინციდენტები ხდება დიუსელდორფში იმ დროს, როდესაც მთელი გერმანია, აღელვებული დაუწყნარებელი ხმებით დაკავებულ ოლქებიდან, უცდის რეინლანდის რესპუბლიკის გამოცხადებას, როგორც სიგნალს სახელმწიფოს დაქუცმაცებისა და სამოქალაქო ომისათვის.

დიდი ხანია იქ მუშაობს საფრანგეთის ინტრიგა. რეინლანდის მრეწველების დიდ ნაწილს ძლიერ ხელსაყრელათ მიაჩნია საფრანგეთის გაძლიერებულ კაპიტალთან გაერთიანება, საბოლოოთ გამოყოფა გერმანიისაგან, სადაც ბობოქრობს რევოლიუცია.

დაკავებულ ტერიტორიებზე სწარმოებს გაცხარებული აგიტაცია სახელმწიფო-ბუფერის შექმნის ლოზუნგით „საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად“.

მხოლოთ ანგარიშები ეშლებათ ამ შემთხვევაში. რეინლანდის რესპუბლიკა, სანუკვარი საფრანგეთის და რეინლანდის კაპიტალისტებისათვის, შექმნის ორმაგ და საშინელ საფრთხეს დასავლეთ ევროპის შუაგულში; შექმნის საფრთხეს ომის და თვით მისი აუცილებლობის რწმენას, რადგანაც, როგორც 110 წლის წინათ, დიდმა ბრიტანეთმა არ შეიწყნარა ნაპოლეონის ჰეგემონია რეინის კონფედერაციაზე, ისევე დღეს, ბრიტანეთი ამჟამად არ შეურიგდება საფრანგეთის კონტინენტალურ ჰეგემონიას,—რაც მოასწავებს ბრიტანეთისათვის განადგურებას და სიკვდილს. რეინლანდის რესპუბლიკის დაარსება შექმნის არა თუ საფრთხეს არამედ რწმენას გერმანიის რეაქციონურ ძალთა გაძლიერებაში. ვულემ უკიდურეს ნაციონალისტების ერთ ერთმა ლიდერმა, ამ დღეებში განუცხადა რეიხსტაგის კულუარებში ერთ ჟურნალისტს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ: „გერმანიისაგან რეინლანდის ჩამოშორების მეორე დღესვე, ჩვენ ყელში ვეცემით ყველა მათ, ვინც დამნაშავეა ამაში“. ყოველ შემთხვევაში, რეინლანდის გამოყოფა გახდება ძლიერი იმპულსი ნაციონალისტური მოძრაობისათვის. ის იქნება გამოსავალი წერტილი სარევანშო ომის იდეის განუწყვეტელი აგიტაციისათვის. მეორე მხრივ, ამას მოჰყვება დანარჩენი გერმანიის მუშათა მასების გამოყოფა რეინლანდის მუშათა მასებისაგან და ხვალინდელი მუშური გერმანიის დასუსტება. ყველა ამ მთავარ მიზნების, ევროპის მშვიდობიანობის და გერმანიის რევოლიუციის გულისათვის, გერმანიის კომპარტია მთელი თავისი ენერგიით ეწინააღმდეგება რეინლანდის სეპარატიზმს.

მემარჯვენეების დიქტატურის მზგავსი.

რამოდენიმე დღის შემდეგ უფრო ადვილია სარჩულის გამოძებნა ამას წინათ მიუნხენში და ბერლინში მომხდარი ამბებისათვის, რასაც მოჰყვა ორი სხვადასხვაგვარი, მაგრამ ერთი მეორის ანალოგიური დიქტატურა—ჰესლერის და ფონ-კარის. ფონკარმა, რომელიც გიჟდება დიქტატურულ უფლებებისათვის, განუცხადა ამას წინათ ფაშისტურ ორგანოს „ფელკიშერ ბეობახტერ“-ის თანამშრომელს, რომ ის თავის თავს სთვლის რუპრეხტის დროებით მოადგილეთ და მისი ძალაუფლება მიმართული იქნება მემარცხენეების წინააღმდეგ. მისი პირველი ღონისძიებანი ეთანხმებიან მის დეკლარაციებს და სავსებით შეეფერებიან მას, როგორც გატაცებული სეპარატისტის წარსულს. ეს ღონისძიებანი მდგომარეობენ შემდეგში:

1) გაუქმება ბავარიაში რესპუბლიკის დაცვის კანონის, რომელიც გამოიცა რატენაუს მოკვლის მეორე დღეს. 2) თავდაცვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაშლა. 3) გადაყენება ნიურნბერგის ლიბერალური ბურგომისტრის—ლიუპპესი, რომელმაც ამას წინათ მოითხოვა საიმპერიო პოლიციის დახმარება ფაშისტურ ბანდების წინააღმდეგ. 4) ჩხრეკა სოციალ-დემოკრატიულ ორგანოს „მიუნხენერ პოსტ“-ის შენობაში, რისთვისაც საჭირო დარჩა მნიშვნელოვანი ძალების გამოყენება.

არც ერთი ზომა არ ყოფილა მიღებული ჰიტლერის ბანდების წინააღმდეგ, რომელთა მობილიზაცია ეხლაც გრძელდება. კიდევ უკეთესი—ჰესლერმა, საერთო-საიმპერიო დიქტატორმა, აკრძალა „ფელკიშერ ბეობახტერ“-ის გამოცემა, რომელიც, მიუხედავათ ამისა, მაინც გამოდის კარის განსაკუთრებული მფარველობის წყალობით.

რა მოხდა მიუნხენში? აი რა მოხდა: პან-გერმანულმა ნაციონალისტებმა მოინდომეს ოინების გასაღება ჰიტლერთან და ლიუდენდორფთან კანონს გარეშე—ნაციონალისტ-როიალისტებმა ეს მოახერხეს უბრალოთ კანონიერათ. გადატრიალება მოხდა „კანონის“ გულისათვის.

რა მოხდა ბერლინში? აი რა: ვერ შესძლო რა შექმნილ მდგომარეობისათვის თავის გართმევა, შტრეზემან-ჰილფერდინგის კაბინეტმა დაადასტურა ის, დაამყარა რა მთელს გერმანიაში სამხედრო დიქტატურა. ებერტის პირადი მოსაზრებით, სამხედრო დიქტატურა დაევალა თავდაცვის მინისტრს ჰესლერს, მთავრობის წევრს, რომელიც უფრო დაახლოვებულია ბავარიასთან. მიუნხენში დიქტატორული ძალა-უფლება ოფიციალურათ ეკუთვნის ჰესლერის უშუალო ხელქვეითს გენ. ფონ-ლოსოვს, რომელთანაც ფონ-კარი ასრულებს სამოქალაქო კომისრის ფუნქციებს. აი, ნამდვილი დიპლომატიური „ფოკუს-ნიკობა“. გენერალი ლოსოვი ნამდვილათ არის მეგობარი და მორჩილი ფონკარის. როდესაც ეს უკანასკნელი აუქმებს საიმპერიო კანონებს არაჩვეულებრივი რიხით, კრონპრინცი რუპრეხტი, პრემიერი კნილინგი და გენ. ფონ-ლოსოვი თან ახლავენ მას დიდ ალლუმზე—30 სექტემბერს მიუნხენში რეიხსვერის ტრადიციულ დათვალიერებაზე, რომელიც თავდება ხმებით: „გაუმარჯოს მეფეს“.

მონარქიული ბავარიის და რეაქციის მიმართ საერთო—საიმპერიო დიქტატურა არის მხოლოთ მოჩვენებითი, ცარიელი და, როგორც სჩანს, სავსებით ზედმეტი დიქტატურის მზგავსი.

ასეთივე დიქტატურა მარცხნიდან.

ბერლინის ბურჟუაზიულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას არა სურს და არც შეუძლია მიიღოს რაიმე ზომები ბავარიის რეაქციის წინააღმდეგ მან ამავე დროს მშვენივრად იცის, რომ მისი რეიხსვერი არ წავა მის წინააღმდეგ. მაგრამ ჰესლერის დიქტატურა, რომელიც არის შექმნილი მიუნხენში ფონკ-არის დანიშვნის საპასუხოდ, ქმნის სრულიად დაუშვებელ მდგომარეობას წითელ საქსონიასა და ტიურინგიაში. როგორც ვიცით, საქსონიის პრემიერს სოციალ-დემოკრატ ცეიგნერს ზიზღით უცხადებენ ბოიკოტს რეიხსვერის უფროსები, რომელთა განკარგულებებს ის ყოველთვის აუქმებდა. პრეზიდენტი ებერტი და ყველა მისი პარტიული თანამოაზრე მინისტრები უპასუხებენ ცეიგნერს, რომ მუშური საქსონია დააყენეს რეიხსვერის გენერალ-ლეიტენანტის მიულერის დიქტატურის ქვეშ, რომელმაც გამოაცხადა, რომ 27 სექტემბრიდან კანონიერად შედგენილი ყველა მუშათა რაზმები დაშლილი იქნებიან. ჯერჯერობით გენერალმა მიულერმა თავი შეიკავა ამ ღონისძიების გატარებისაგან. მაგრამ ის განაგებს დრეზდენს ბარსელონის კაპიტალ-გენერალის დე-რივერას მზგავსად. მისი ბრძანება 27 სექტემბრის თარიღით, 7-ე მუხლში ამბობს:

1) დღევანდელი დღიდან ვიღებ მთელ ძალა-უფლებას...

2) აფიცრებს ენიჭებათ უფლება პოლიციის მოხელეებისა.

3) აკრძალულია ჩემგან წინასწარ ნებართვების მიუღებლად ყოველგვარი ახალი ბეჭდვითი ნაწარმოების გამოქვეყნება...

4) აკრძალულია ყოველგვარი გამოსვლები ქუჩებში, დახურულ შენობებში კრებების გასამართავად წინასწარ უნდა იქნას აღებული ნებართვა ჩემგან;

5) აკრძალულია მრეწველობის ყველა ამ დარგებში მუშაობის შეწყვეტა, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის (წყალი, ელექტრონი, ნახშირის და პატაშის მაღაროები, ტრანსპორტი, სურსათი);

6) აკრძალულია კრებები; 7) ამ განკარგულებათა დარღვევისათვის დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

ამგვარად, დემოკრატიულ საქსონიის მუშებს წართმეული აქვს გაფიცვების და ყველა კონსტიტუციონური უფლებები, მოკლებული არიან კანონიერი თავდაცვის საშუალებას. საქსონიის სოციალისტური მთავრობა გაუქმებულია ერთი კალმის მოსმით. საქსონიის მუშების ყოველგვარი საპროტესტო მცირე გამოსვლა ითვლება უკანონოთ და დიდი კოალიციის მიერ რეიხსვერს მინდობილი აქვს ჩააქროს იგი უკიდურესი სიმკაცრით.

კომპარტია აყენებს საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის ლოზუნგს. ხვალ, ეს გაფიცვა აუცილებელი იქნება მუშურ საქსონიაში, რომელიც ასე ადვილად ვერ შეურიგდება რეიხსვერის ხმალის და ჩექმის რეჟიმს. რა მოხდება მაშინ? ამ საკითხში მთელი ბურჟუაზიის, (იმ ნაწილითურთ, რომელიც ეხრობა დიდ კოალიციას) და მიუნხენის „მოღვაწეთა“ შორის სრული შეთანხმება არსებობს. „აღმაშფოთებელი სკანდალი საქსონიასა და ტიურინგიაში შეწყვეტილი უნდა იქნეს“! (სწერს მარეცკი, სახალხო პარტიის დეპუტატი დიდი კოალიციიდან „ტაგეში“.) რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახი პროვოკაციით გამოიწვევს გენერალი მიულერი, შედგენილი იქნება დაუყოვნებლივ ყოველი ჯურის ფაშისტების, ბავარიელების, სეპარატისტების, პომერანისტების და სხ. ერთიანი ფრონტი რეიხსვერთან, დემოკრატიულ მთავრობასთან და სოციალ-დემოკრატიასთან ერთად. უბედურებანი და მოქალაქე—მინისტრების შმიდტის, ჰილფერდინგის, ზოლმანის უპასუხისმგებლობა, რომელნიც განზრახ ამზადებენ საქსონიის და ტიურინგიის მუშათა მოძრაობის ჩაქრობას ნოსკეს მეთოდით—ცხადზე უცხადესია. მათ სურთ ჩააქრონ იგი—თუნდაც რომ ამის შემდეგ ლიუდენდორფმა სახრჩობელაზე აიყვანოს ისინი.

... ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ მათ კიდევ უფრო მეტი შანსები აქვთ ჩამოხრჩობისა, იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურ გერმანიაში გაიმარჯვებს სოციალისტური რევოლიუცია

ისინი, რომელთაც არაფერი არ გაეგებათ.

იმ დროს, როდესაც გერმანიის კომუნისტები ერკვევიან ამ რთულ მდგომარეობაში, იმ დროს, როდესაც ისინი დიდი შრომით ამაგრებენ ცენტრალურ ევროპის უკანასკნელ პროლეტარულ ციხეს, რეაქციის მომავალ იერიშების მოსაგერიებლად,—ის ადამიანები, რომელთაც, როგორც სჩანს არაფერი არ ესმით არც კომუნისტურ აზროვნების, და არც გერმანიის ამბებისა (თუმცა ამას წინად ისინი ეკუთვნოდენ საფრანგეთის კომპარტიას), სწერენ ისეთ რამეებს, როგორც აქვე მოგვყავს სიტყვა-სიტყვით:

„საფრანგეთში გადატანილი რადეკ-როსმერის პროექტი უდრის საფრანგეთის ეროვნულ თავდაცვას, რომელსაც ქადაგებენ „იუმანიტეში“ მოთავსებული ლეონ-ლოდეს წერილები. საბრალო რევეინები! უნდა იყო სრულიად დაბრმავებული ან უსინიდისო, რომ შერიო იმპერიალისტურ სახელმწიფოს დაცვა დაწყებულ საერთაშორისო მუშური რევოლიუციის „ეროვნულ დაცვასთან“; რომ ვერ გაიგო, რომ იმ ქვეყანაში, სადაც იმპერიალიზმის ულელი ემატება საშინელი კაპიტალის ულელს, ხალხთა მასებში ილვიძებს აღშფოთების ორგვარი გრძნობა, რაც არის ყველაზე დიდი რევოლიუციონური ძალა. რომ ვერ გაიგო, რომ თუ გერმანელი კაპიტალისტები არ მიიღებენ ანგარიშში ამას, ამით ისინი უზრუნველჰყოფენ ნაციონალისტურ ფაშიზმის გამარჯვებას, და რომ გერმანიის დანაწილება—ე. ი. ცენტრალურ ევროპის ბალკანეთად გადაქცევა, დიდი ხნით დაამყარებს იქ კაპიტალისტურ უწესრიგობას.

დაუმატოთ ამას კათოლიკურ ცენტრის ორგანო „გერმანია“-დან ამოწერილი ადგილი (19 სექტემბრის თარიღით) „ვიურტემბერგიდან გამოგზავნილ პოლიტიკურ წერილის“ ავტორი ძალიან სწუხს, რომ კომუნისტური პროპაგანდა გავრცელდა ვიურტემბერგის გლეხთა მასებში, რომლებზედაც დღემდის გავლენა ჰქონდათ მხოლოდ კათოლიკების პარტიას და ნაციონალ-სოციალისტებს. გაზ. „გერმანია“, რომლის კომპეტენციაში ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს თავის სერიოზულად აფასებს გერმანიის კომპარტიის წარმატებას ნაციონალისტურ მოძრაობაში.

დოლარზე უფრო მაღლა

გაზეთი „მონტაგ მორგენი“ ათავსებს საინტერესო დიაგრამას სიძვირის ზრდასა და დოლარის კურსის აწევის შორის არსებულ შეფარდების შესახებ. 6 აგვისტოს, ფასების აწევა, დაახლოვებით პროპორციული იყო დოლარის კურსის აწევის. 6 აგვისტოდან დაწყებული სიძვირის ზრდა წინ უსწრობს დოლარის კურსის ზრდას. თუ 1 აგვისტოს დოლარის და მეორეს ღირებულებად მივიღებთ 100-ს, მათ შორის განსხვავება გამოიხატება შემდეგ ციფრებში: დოლარი—509, სიძვირე—1.567.

17 სექტემბრიდან ეს განსხვავება კიდევ უფრო მეტია: დოლარი—1.2 ცხოვრების სიძვირე—1.931. 24 სექტემბერს სიძვირე აღემატებოდა დოლარის კურსის ზრდას 2-ჯერ: დოლარი—13.364, სიძვირის ინდექსი 39.200.

ბერლინში ცხოვრება უფრო ძვირია ვიდრე ნიუ-იორკში და პარიზში. გერმანიის მუშას კი ძველებურად აძლევენ ხელფასს ქაღალდის მარკებით. რეაქციონურ არმიის დიქტატურა, პირველ ყოვლისა უნდა ყოფილიყო მიმართული მინისტრ-სოციალისტების წინააღმდეგ.

რ. ალბე

ბერლინი, 2 ოქტომბერი.

წითელ ფედერაციაში

რუსეთი.

გერმანიის ელჩი ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი. 21 ოქტ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მიიღო გერმანიის ელჩი ბროკდორფ რანტცაუ.

უკრაინა

სრულიად უკრაინის ცაკის მომავალი სესიის საკითხები.

ხარკოვი. 20 ოქტომბერი. სრულიად უკრაინის ცაკის მომავალ სესიაზე განხილულ იქნება: დებულება საკავშირო სახალხო კომისარიატების შესახებ, რომელიც უნდა დაამტკიცოს საკავშირო ცაკმა, საერთო რესპუბლიკის და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების შემცირება სახელმწიფო აპარატების შესანახად და საკითხები უკრაინის რაიონებად დაყოფის და მიწათმოწყობის შესახებ

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში

საქართველო

აჭარა

რეისი კონსტანტინეპოლში

ბათომი. 19 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლისაკენ პირველი რეისით გაეშურა სახელმწიფო გემთა მიმოსვლის გემი „კერჩი“, რომელმაც ნოვოროსიისკიდან ტრანზიტით წაიღო 50 000 ფუთი ხორბალი და წაიყვანა 237 მგზავრი.

ოდესიდან ჩამოვიდა გემი ნოვოროსიისკი 64 მგზავრით და 7.200 ფუთი სხვადასხვა ტვირთით.

ზღვის ძირიდან

ბათომი. 19 ოქტომბერი. საწარმოვო მუშაობა ნავთსადგურში გრძელდება. დაწყებულია ზღვის სიღრმიდან იმპერიალისტური ომის ხანებში დაღუპულ ბარჟების, გემებისა და სხვ. ამოღება. მუშაობა გაძნელებული იყო მით, რომ 1916 წელს ჩაძირული გემები ღრმათ ჩაეფლო სილაში. ყველა ამოღებული ბარჟები უკვე მუშაობენ ნავთსადგურში.

ნავთის ნავთსადგურის გაღრმავება.

ბათომი. 19 ოქტომბერი. ნავთის ნავთსადგურის გაღრმავების მუშაობა გაცხოველებით სწარმოებს. ნავთსადგურის სიღრმის გადიდება განზრახულია იმ ზომამდე, რომ შესაძლებელი იქნეს 30 ფუტის სიღრმის გემების მიღება. ნავთსადგურის ხაზი გაგრძელებული იქნება 780 საჟენამდე.

ბათომი

მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივი.

ბათომი. 19 ოქტომბერი მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივის პრეზიდიუმმა მიმართა კომუნისტურ მეურნეობის განყოფილებას თხოვნით კომუნალურ მეურნეობის განყოფილების განკარგულებაში არსებულ სამრეცხაოს ინვენტარის კოოპერატივისათვის გადაცემის შესახებ. კოოპერატივს განზრახული აქვს თავისი სამრეცხაოს გახსნა.

მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებამ აღძრა საკითხი ბათომში კოოპერატიულ სარძეო მაღაზიის გახსნის შესახებ.

აფხაზეთი

კოდორის მაზრა.

ოჩემჩირი. 18 ოქტ. სამურზაყანოსთან შედარებით, კოდორის მაზრა უფრო ჯანსაღი და კეთილ მოწყობილი კუთხის შთაბეჭდილებას იძლევა. მოსავალი საშუალო ყოფილა, თუმცა ადგილ-ადგილ წვიმებს წაუხდენია ჭირნახული. სკოლის საქმე, როგორც სჩანს, ფართოვდება. ბევრს მიყრუებულ სოფლებში, გლეხების შუამდგომლობით იხსნება სკოლები, რომლებსაც საგანგებო კომისია უწევს მეთვალყურეობას. სასოფლო საბჭოებთან არსდება შემარიგებელი კომისიები მოსისხლე მტერთა შესარიგებლად. სისხლის აღება აქ დიდს ზიანს აყენებს მშრომელი ხალხის ინტერესებს. დაარსებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კომისიები, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული სასოფლო მეურნეობის ფეხზე დაყენება ახალი ხორბლეულობის დათესვით და ხეხილის ბაღების გაშენებით.

ადგილობრივი მილიციის ენერგიულ და თავგანწირულ მეცადინეობით ბანდიტიზმი თითქმის მოსპობილია.

პარტიული ცხოვრება

გორის სამაზრო პარტიული კონფერენცია

15 ოქტომბერს შესდგა გორის სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 85 დელეგატი.

კონფერენცია გახსნა მაზრკომის მდივანმა ამხ. ა. გიორგაძემ. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: ივანოვ კავკასკი, ვასო ქურდაძე, არჩილ გიორგაძე, შოთი, გოგალაძე, ძაძამია, გ. გეგეშიძე, ლადო ბერიძე და იკოშვილი გიორგი.

სამდივნოში არჩეულ იქნენ: ქებაძე, მესროპოვი, სიამაშვილი ანდრო; სამანდატო კომისიაში: ფსიტიძე, აბრამაშვილი და მამაცაშვილი.

საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩიეს ამხ. ამხ. ლენინი, სტალინი, ტროცკი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ლომინაძე, ელიავა, კახიანი, კლარა ცეტკინი და კაშენი.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ამხ. ლენინს, საქ. ცეკას და ა.-კ. საოლქო კომიტეტს.

შემდეგ გამომუშავებულ იქნა კონფერენციის დღის წესრიგი.

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2 სამაზრო კომიტეტის ანგარიში, 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4. კომკავშირის ანგარიში, 5. ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდა მომავალში, 6. მაზრკომის არჩევნები.

ამხ. გიორგაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება მაზრკომის მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა მთელი რიგი იმ საჭირბოროტო საკითხებისა, რომელთა მოგვარება შესძლო მაზრკომმა, აღნიშნა აგრეთვე მუშაობის სუსტი მხარეები. შემდეგ, მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ქებაძემ, რომელმაც დამაკმაყოფილებლათ ჩასთვალა მაზრკომის მუშაობა ზოგიერთ მცირე დეფექტების გარდა: ამის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კორინთელმა, გოგოლაძემ, სოკრატ ბარბაქაძემ, კვანტალიანმა, პაქსაშვილმა, ძაძამიამ და მამასახლისოვმა. ყველა ამხანაგებმა საერთოდ დამაკმაყოფილებლათ სცნეს მაზრკომის საქმიანობა და ტაქტიკური ხაზი. მაზრკომის მუშაობაზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, როგორც დღევანდლამდე მუშაობის დაფასება, ისე დირექტივები მომავალისთვის.

ანტირელიგიურ პროპაგანდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ბუხნიკაშვილი, რომელიც ეხება დღევანდლამდე გადადგმულ ნაბიჯებს ამ დარგში, და აშუქებს ცეკას ცირკულიარის მნიშვნელობას და მის სავსებით დაცვის საჭიროებას. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია ამ საკითხთან მეტი დაკვირვებით და თავდაჭერილობით მიდგომა მომავალში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბევრმა ამხანაგებმა. ორატორებმა აღნიშნეს გლეხების სულისკვეთება და აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მოხუცების გარდა აღარავის სწამს სამღვდელოების საჭიროება და ზედმეტად მიაჩნიათ დახურული ეკლესიების გახსნა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამ საკითხზე გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ანტირელიგიურ პროპაგანდის დაკვირვებით წარმოებას და ცეკას ცირკულიარის უცვლელათ გატარებას ცხოვრებაში.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ა. კ. მდივანი ამხ. კაჭარავა, რომელიც აღნიშნავს მაზრკომის მუშაობას. მოხსენებას არ გამოუწვევია დიდი კამათი და მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე აკეთებს ამხ. ივანოვ-კავკასკი, რომელიც ვრცლად აშუქებს საერთაშორისო მდგომარეობას და განსაკუთრებით გერმანიის რევოლიუციის მსვლელობას. მომხსენებელს ხშირათ აწყვეტინებენ სიტყვას მქუხარე ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით. განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დელეგატებში, როდესაც მომხსენებელი აცხადებს, რომ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება.

შემდეგ კონფერენცია გადადის არჩევნებზე. მაზრკომის წევრებათ აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: გიორგაძე არჩილი, ქურდაძე ვასო, შოთი კოხტა, გოგალაძე ლენტო, ცხოვრებაშვილი სერგო, ვარნაზოვი სერგო, გეგეშიძე ვალიკო, ძაძამია ვანო, ფსიტიძე ლადო.

კანდიდატებათ: მესროპოვი მიშა, მამაცაშვილი იასონი, კაჭარავა დათიკო, კობალაძე ვერა.

სარევიზიო კომისიაში: ბუხნიკაშვილი ალექსანდრე, ქებაძე ალექსანდრე, სიამაშვილი ეპიფანე. მათი კანდიდატები: ქილიტაური, ურიგაშვილი.

მისასალმებელი დეპეშის წაკითხვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა საღამოს 10 საათზე „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

ა. ც.

ქ. ფოთი

11 ოქტომბერს შესდგა საქართველოს ახალ. კომუნისტური კავშირის ფოთის ორგანიზაციის საერთო კრება, სადაც გერმანიის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქანთარიამ; ამხანაგმა ნათლად დაახასიათა გერმანიის ეკონომიური პოლიტიკური და ფინანსიური მდგომარეობა და მასთან ის მიზეზებიც, რომელმაც გერმანია ჩააყენა ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში. მომხსენებელი გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ გერმანიის მებრძოლი პროლეტარიატი სულ ახლო მომავალში თავის ენერგიულ ბრძოლით შესძლებს თავის დახწევას შინაურ და გარეშე კაპიტალისტების და ფაშისტების ბრჭყალებიდან.

მოხსენების შემდეგ კრების თავმჯდომარე ამხ. გოგნელიც მოკლეთ შეეხო გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობას და შეიტანა წინადადება, რომ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ გადაედვათ ერთი დღის ნამუშევარი, წინადადება ერთხმად იქნა მიღებული, მთელმა კრებამ იგრიალა: გაუმარჯოს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

14 ოქტომბერს ახალ. კომკავშირის ინიციატორობით იქნა მოწყობილი გრანდიოზული შეჯიბრება „სპარტაკის“ საზოგადოების ფეხბურთელთა ორ გუნდ შორის — შემოვიდა რამოდენიმე ასი მილიონი მანეთი, რომელიც გადაიდო გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარებლად. მშრომელი ახალგაზრდობა დიდ ენერგიულ მუშაობას აწარმოებს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად.

ჯ. ჯიბლაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(22 ოქტომბერი).

ჩერვონცები	67,000
ფუნ. სტერლინგ. ეფექტ.	60,500
ჩეკები	54,500
დოლარები ეფექტ.	13,700
ჩეკები	12.800
ოსმ. ქალ. ლირა	6.800
იტალიური ლირა	420
ფრანგული ფრანკი	630
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მოსკოვის ფასები.

(22 ოქტ.)

პური 1 ხარ. —350 ათ., პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფინ.—2900 ათასი, ფხვნილი შაქარი—2450 ათასი, მაკარონი—1040 ათ. კარტოფილი—80 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები

(22 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—500 ათასი, პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინ.—3 მილ. ფხვნილი შაქარი—2800. ათ. ბრინჯი ალდაშ.—700 მაკარონი 1100 კარტოფილი 125–150.

ბირჟის მიწოდება.

(20 ოქტომბერი)

ბრინჯი ალდაშის, ფხვნილი შაქარი რუს., შაბიამანი ინგლის., კანიფოლი, სპილენძი, ცენტროკავშირის ჩაი, აბრეშუმი დაურთავი, რუს. მანუფაქტურა, იტალიური მანუფაქტურა, სკიპიდარი ფრანგ., ბორჯომის ღვინის ჭურჭელი, კაუსტიური სოდა, ასანთი, საპონი, სელის ზეთი, ცემენტი და ეტერნიტი, მზესუმზვრიტას ზეთი, რკინეულობა, ელექტრო-ტეხნიკური მასალა.

ბირჟის მოთხოვნილება

(20 ოქტომბერი)

აგური, მზესუმზვრიტას ზეთი, საკანდიტერო ყუბანის ფქვილი, ფხვნილი შაქარი რუს შაქარი რაფინადი, აბრეშუმი, ასანთი, ჩაი, ქვა-მარილი ნახიჩევანის და ბახმუტისა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

19 ოქტომბერს ბირჟას გარეშე დადებულია 1 გარიგება, სულ 840 მან. ჩერვ. თანხისა.

საქონლის ბირჟის განწყობილება.

(20 ოქტომბ.)

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება დღეს უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(20 ოქტ.)

ჩერვონცების და სტერლინგების კურსმა საგრძნობლად აიწია. დანარჩენ ვალიუტას დიდი ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის მიწოდება.

(19 ოქტომბერი).

ალდაშის ბრინჯი, ლურსმანი, შაქარი ფხვნილი რუს. შაბიამანი. კანიფოლი. სპილენძი (წითელი). ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი). ტყის მასალა. რუს. ქაღ. მანუფაქტურა. იტალიური მანუფაქტურა. ღვინის ჭურჭელი ბორჯომის ქარხნისა. კაუსტიური სოდა. ასანთი საპონი. ცემენტი და ეტერნიტი. ბორჯომის კანიფოლი. მზესუმზირას ზეთი. ელექტრო-ტეხნიკური მასალა.

ბირჟის მოთხოვნილება.

(19 ოქტ.)

მზესუმზირას ზეთი. აგური. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო) ფხვნილი შაქარი (რუს.) ლურსმნები. აბრეშუმი. ასანთი. ჩაი. ქვა მარილი ნახიჩევანის და ბახმუტისა.

ქრონიკა

— **დახმარება ბანდიტებთან დაღუპულ მილიციელთა ოჯახებს.** ქ. ალმასკომმა დაადგინა დუშეთში ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპულ მილიციის თანამშრომელთა ოჯახებს აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება.

— **დარაბები—საცხოვრებელ ბინებათ.** ალმასკომმა წინადადება მისცა უძრავ-ქონებათა სამმართველოს საფინანსო განყოფილებასთან ერთად შეადგინოს სია იმ დარაბებისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საცხოვრებელ ბინებათ.

— **სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გადმოტანა სურამიდან.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაადგინა, სურამში არსებული სულით ავადმყოფთა ახალშენი გადმოიტანოს ტფილისში, საავადმყოფო მოთავსებული იქნება ორთაჭალაში მანთაშევისეულ საავადმყოფოში

— **ცოფიან ძაღლებით დაკბენილი ავადმყოფები.** უკანასკნელ ხანებში გახშირდა პროვინციიდან ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილი ავადმყოფები. მარტო აფხაზეთიდან ჩამოიყვანეს 30. ჯანმრთ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს საავადმყოფო აღნიშნულ ავადმყოფთათვის საექიმოთ.

— **სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად.** კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირის გამგეობამ დაადგინა მთელი კახეთის რაიონისათვის შეიძინოს ერთი მსუბუქი ჰაეროპლანი სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტი.** კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირის გამგეობამ დაადგინა შეიძინოს ა.-კავკასიის საჰაერო ფლოტის საქციონერო ფლოტისაგან 10 აქცია.

— **შეფობა სოფელზე.** კახელ მევენახეთა ამხ. კავშირთა-კავშირმა დაადგინა მიიღოს კულტურული შეფობა სოფ. ურიათ-უბანზე.

— **სრ. საქართველოს საქალაქო აღწერის შედეგები.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „სრ. საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის ჯამები. გამოცემა ეკუთვნის სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს.

— **ანგარიში ჩერვონცებზე გადატანა.** კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირმა დაადგინა სთხოვოს წარმოკავშირს მიიღოს სათანადო ზომები, რომ 15 ნოემბრიდან ღვინის ფასები გადაიტანოს ჩერვონცებზე.

— **საზღვრების გამიჯვნა მაზრებს შორის.** ა.-კავკასიის ცენტრ. ალმასკ. კომიტეტის პრეზიდიუმმა, საზღვრების გამიჯვნის გადამწყვეტ კომისიის მოხსენების თანახმად გამიჯნა საზღვრები ყაზახის (აზერბაიჯანის) და დელიჟანის მაზრის (სომხეთის) შორის.

— **ცეკავშირის განყოფილებები.** ცეკავშირმა თავის განყოფილებები გახსნა შემდეგ ადგილებში: ქედში, აჭარის წყალში და ხულოში

— **ფართლეულობა მუშებისათვის** უახლოეს ხანში ა.-კ. მომხმარებელ საზოგადოების კოოპერატივი როსტოვიდან მიიღებს შეკვეთილ 3 ვაგონ ფართლეულობას. ფართლეულობა დაურიგდებათ იაფ ფასებში პროფკავშირის წევრებს.

— **ცეცხლის საქრობ მოწყობილებათა შეძენა.** ალმასკომმა დაადგინა ქ. სოხუმში გაგზავნოს ამხ. ბერიძე და დაევალოს ინგლის-რუსეთის სავაჭრო სახლისაგან შეძენილ ცეცხლის მქრობელ იარაღების თვისებათა ადგილობრივი გამორკვევა.

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში. ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს** საღამოს 7 საათზე ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგ სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენებები: 1. **პროფ. ა. შანიძის** მიერ: „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“. 2. **პროფ. გ. ახვლედიანის მიერ:** „წინასწარი მოხსენება სამხრეთ-ოსეთში საენათმეცნიერო მოგზაურობის შესახებ“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **ცეკას გამომცემლობა.** ოქტომბრის დღესასწაულებისათვის ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სცემს სამ წიგნს: 1) ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო (ილიუსტრაციებით და სურათებით), 2) ოქტომბრის გზა (მოგონებათა კრებული) და 3) ოქტომბრის რევოლიუცია და ახალი ეკონომიური პოლიტიკა—ფლეროვსკისა. სამი წიგნები ამ მოკლე ხანში გამოვა.

— **მისალმება ს. კ. პ. ცკ-ს** ს. კ. პ. ც.-კმა შემდეგი დეპეშა მიიღო გორიდან: „საბჭოთა მუშაკების გორის სამაზრო კონფერენცია სალამს უძღვნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი პროლეტარიატის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას“.

— **აფთიაქების რიცხვი რესპუბლიკაში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად, რესპუბლიკის ფარგლებში ამ ჟამად არსებობს—279 აფთიაქი. აქედან ქალაქებში—76 აფთიაქი, ხოლო სოფლებში—203.

— **შაქარი ინგლისიდან.** 11 სექტემბერს ინგლისიდან გამოვიდა გემი „ბედორ არი“ 20,000 ფუთი შაქრით დატვირთული ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ შეკვეთილი. გემი ამ დღეებში ჩამოვა ბათომში.

— **სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთ დაიკვეთა 50,000 ფ. შაქარი სპარსეთში საჭირო საქონელზე გადასაცვლელად.

— **სასოფლო სამეურნეო გადასახადის ვადის გაგრძელება.** სასურსათო სახ. კომისარიატმა დაადგინა ღვინის მოსავლიან ადგილებში—სასოფლო სამეურნეო გადასახადის ვადა გააგრძელოს 1 დეკემბრამდე.

— **შემანქანეთა გამოცდა.** 21 ოქტ. შრომის ბირჟაში მოხდა 85 უმუშევარ შემანქანეთა კვალიფიკაციის შესამოწმებელი გამოცდები. მათ შორის 21 აღმოჩნდა პირველ ხარისხის.

— **შრომის ბირჟა.** 20 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა—256 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—114, სამუშაოდ გაიგზავნა—67.

შემთხვევები

— **ქურდობა.** 19 ოქტ. გაქურდულ იქნა მოქ. ლუშავი პრაზერკინის ბინა (კობის ქ. № 13), საიდანაც წაიღეს რამოდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ქურდის შეპყრობა.** 12 ოქტ. შეიპყრეს დავით ლორთქიფანიძე, რომელსაც ბრალდება კონსტანტინე ლორთქიფანიძის ბინის გაქურდვა.

— ამავე დღეს გაქურდეს მოქ. დავით ლიაპკოვის ბინა (კირკის ქ. № 11-ში), საიდანაც წაღებულია ძვირფასი ნივთები და ხალიჩები.

— **ქარხნის გაძარცვა.** 19 ოქტ. გაქურდულ იქნა მოქ. ბაგრატ აბრამოვის ქარხანა (ანდრევის ქ. № 7). ეჭვით შეიპყრეს ფრიდრიხი შურინი.

ხელოვნება

სახალხო სახლი

ქართული სეზონის დაწყება.

21 ოქტომბერს სახალხო სახლში გაიხსნა სეზონი ქართულ წარმოდგენებისა—შალვა დადიანის სამ მოქმედებიანი პიესით „გუშინდელნი“.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახალხო სახლი.

ურეკლამოთ, უპრეტენზიებოთ იქ შეკრებილია საუცხოვო გუნდი წყნარ და გულდადებულ მუშაკთა.

მშრომელი ფუთკრებივით—დაუღალავად ქმნიან იგინი ტკბილსა და ნაყოფიერ საზრდოს, რომელსაც ეს ხარბათ ეწაფება ქართველი საზოგადოების უფრო დემოკრატიული ნაწილი.

ბევრს, ეგრედწოდებულ „მაღალი საზოგადოებიდან“ უფრო იაფი წარმოდგენა აქვს სახალხო სახლის ღირსებაზე.

ყოველი უანგარო მსაჯული გულზე ხელდადებით იტყვის, რომ 21 ოქტომბრის წარმოდგენა—ეს არის მოლოდინს გადაჭარბებული უმაღლესი მიღწევა ქართული დრამატიული წრისა.

თვით პიესაც სახალხო სახლის მოტრფიალეთათვის მშვენიერად არის შერჩეული.

„გუშინდელნი“ — პატარა პიესაა. მაგრამ თავისი ცოცხალი ელფერით საამურად იპყრობს დამსწრეთა ყურადღებას თავით ბოლომდის.

ავტორს ხელდახელ გადაუპია „გუშინდელი“ ცხოვრების მკერდი და იქიდან ამოუღია ხალასი სურათი სინამდვილისა.

მოქმედება სწარმოებს იმერეთის რომელიღაც სოფელში.

ამ სოფელში ეკლესიაც დანგრეულია, სკოლაც გაოხრებული, გზები და ხიდები სულ ერთიან გამოუყენებელი. ერთი სიტყვით, ყოველ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაა გამეფებული.

ამასთანავე ამ სოფელს თითქოს ნასწავლი მამასახლისიცა ჰყავს. ეგრედწოდებული „მოწინავე საზოგადოებაც“ არის: მამასახლისის სტუდენტი ვაჟი, და ქალიშვილი, არის მათივე ამხანაგი—ვინმე მოსოციალისტე ვაჟი. იქვეა გათახსირებული თავადიშვილი თავისი „კნეინათი“ და ქალიშვილით. იქავეა „ფოფოდია“, ნაცნობი თავადიშვილის ქალი და სხვა.

მაგრამ ყველა ესენი მხოლოდ თავიანთ თავისთვის ზრუნავენ და არა ხალხისთვის:

მამასახლისი ქრთამებზეა გადაყოლილი. სხვები კიდევ რაღაცა ფუქსავატობასა და არშიყობაზე.

სოფელს თავისი გულშემატკივარნიცა ჰყავს. ესენი არიან იქავე მცხოვრები გლეხ-კაცები.

მოულოდნელად ამ სოფელში მოდის მაზრის უფროსი, ხალხი სიხარულით ცას ეწევა. ალბათ სოფლის საკეთილდღეოდ თუ მოეშურებაო.

ამორჩეულ გლეხებს უნდათ ისარგებლონ ამ შემთხვევით. ეძებენ ვინმე ღირსეულს, რომ დაწვრილებით გააცნოს მაზრის უფროსს სოფლის გასაჭირი, მაგრამ ყველა უარს ეუბნება. ბოლოს თვით მამასახლისს ეხვეწებიან, რომ წარუდგეს მოხსენებით—არც ისა თავობს.

მაზრის უფროსი მოვიდა, მაგრამ მან იქავე განაცხადა, რომ იგი მოვიდა არა საქმეებისთვის, არამედ—დროს გასატარებლად.

სოფლის პირველ კაცს მაინც უნდა უთხრას რამე, მაგრამ ყურს არ უგდებს და ძალით არეკინებს ხალხს.

შემდეგ იწყობა ქეიფი, სიმღერა და არდაგარდმო არშიყობა მთელი სოფლის თვალსაჩინოდ.

ეს არის სადა, თანაც მკაფიო და მჭერმეტყველური სურათი ერთის მხრივ სოფლის დაცემისა და გაჭირვებისა, მეორე მხრივ კი მის მესვეურთა და მის ლუკმაზე გამოზრდილ პირთა დარდიმანდობა და უყურადღებობა.

მამასახლის-ბოქაულებს, გაკოტრებულ თავადიშვილებს და აჭრელებულ ანბანის მცოდნე ხალხს უფრო ეხალისებათ დღე და ღამ ქეიფი, ლოთობა და არშიყობა და არა სოფლის კვნესა-ვარამი.

პიესა ძალიან ცოცხლათ არის დაწერილი და მაყურებელის ყურადღება ერთ წუთსაც არა სცდება ამაოდ.

თამაშობის მხრივ—წარმოდგენა ჩატარდა საუცხოვოდ.

პროფკავშირებში

საქართველოს ფეიქართა მესამე ყრილობა

მეორე დღე.

(საღამოს სხდომა)

უმუშევრობა.

(ამხ. მიქაძის მოხსენება)

ამხ. მიქაძე მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ჩვენში არ არის უმუშევრობა, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში ესმით. უმუშევრობა საქართველოში მრეწველობის კრიზისით არ არის გამოწვეული. 6 თვის განმავლობაში საქართველოში აღრიცხული იყო 30 ათასი უმუშევარი, აქედან ნახევარზე მეტი საბჭოთა მოსამსახურე და შავი მუშათა და სრულიად მცირე პროცენტი მოდის სამრეწველო მუშებზე 4 000 კაცი.

პირველ ოქტომბრისათვის საქართველოში იყო 21 ათასი უმუშევარი. ამ რიცხვიდან სამრეწველო შრომაზე მოდიოდა 3 500 კაცი, ამავე დროს ამათში კავშირის უმუშევარი წევრი მთელ უმუშევართა 30–40 პროცენტს წარმოადგენს. ამ ჟამად ბირჟას სტუმარია ისეთ პირთა დიდი პროცენტი, რომელთაც მშრომელ ელემენტთან საერთო არაფერი აქვთ.

შემდეგ ამხ. მიქაძეს მოჰყავს ციფრები უმუშევარ ფეიქართა შესახებ. წარმოების კრიზისის გამო ამ ჟამად ითვლება 700 უმუშევარი ფეიქარი, რომელთა შორის კვალიფიციურ მუშაკთა უმნიშვნელო პროცენტია. უმუშევრობას ფეიქართა შორის მალე მოეღება ბოლო, რადგან მრეწველობის ეს დარგი საქართველოში ვითარდება, იხსნება მთელი რიგი ახალ საწარმოთა.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა უმუშევართა დახმარების სხვადასხვა ფორმებზე.

მესამე დღე.

კავშირის ამოცანები

ა) საორგანიზაციო მუშაობის სფეროში.

(მომხსენებელი—ამხ. ალექსანდროვა).

კავშირის უმთავრესი ამოცანა საორგანიზაციო დარგში არის ფინანსიური პოლიტიკის სწორი დაყენება. ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა საწევრო გადასახადების მაგარ ერთეულებში (საქონლის მანეთებით) გამოანგარიშება. საკავშირო ფონდები უნდა ინახებოდეს დანიშნულებისამებრ, განსაკუთრებით უმუშევართა ფონდი. მომავალი ცენ. გამგეობა უნდა ეცადოს ჩაითრიოს წევრთა 100 პროცენტი ურთიერთ დახმარების კასაში. მუშათა ინტერესების უფრო უკეთ უზრუნველსაყოფად, საჭიროა ქალაქში მოეწყოს საუბნო ქარხნის კომიტეტები, კავშირი უფრო მჭიდროთ დაუკავშირდეს ს. პ. კ. საბჭოს და კავშირის ცენ. გამგეობას.

ბ) სატარიფო-ეკონომიურ დარგში.

ყრილობამ უნდა დაადასტუროს სატარიფო პოლიტიკის სისწორე განვლილ პერიოდში და დაავალოს ახალ ც. გამგეობას განამტკიცოს ხელფასის მიღწეული ნორმა და ცალკე შემთხვევაში კიდეც ასწიოს იგი. შრომის ნაყოფიერების უზრუნველსაყოფად კავშირი უნდა ეცადოს დამუშავების მაქსიმალური ნორმის დაწესებას.

კავშირმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ხელფასის თავის დროზე გადაუხდელობის წინააღმდეგ. არსებული სისტემა ხელფასის საქონლის მანეთებად გამოანგარიშებისა უნდა იქნეს ერთად ერთ სწორ სისტემად ცნობილი. ყველა აღძრული კონფლიქტის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით შეფასებულ საკონფლიქტო კომისიის მუშათა ფრაქციის გასაძლიერებლად, საჭიროა კონფერენციების პერიოდული მოწვევა.

საჭიროა აგრეთვე მომავალში კავშირის ეკონომიურ მუშაობის გაძლიერება სამეურნეო მუშაობის ძირითადი მომენტების შესამოწმებლად.

გ) კულტმუშაობა

ვინაიდან კავშირის წევრები განათლების მხრივ ჩამორჩენილი არიან, კულტმუშაობა უნდა ეხებოდეს უმთავრესად მასების პოლიტიკურად გათვითცნობიერებას. კულტმუშაობის ერთი ძირითადი ამოცანა უნდა იქნეს წევრთა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. განვითარების გზაზე შემდგარ საფეიქრო მრეწველობის ხელის შესაწყობად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პროფტეხნიკურ განათლების მოგვარებას. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე კავშირის წევრთა და მუშათა ფაკულტეტებზე გაგზავნა. ყველაზე უფრო სრულ-ყოფილი ფორმა—მუშების კულტმუშაობაში ჩასაბმელად არის მათი კლუბებში მიზიდვა. ამ მიზნით კავშირის ცენტრალური გამგეობა უნდა შეუდგეს ტფილისში საკავშირო კლუბის დაარსებას. საჭიროა აგრეთვე ჩატარდეს მუშათა გაზეთებზე პერსონალური ხელის მოწერის სასარგებლო კამპანია. კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მუშა-კორესპონდენტების მუშაობას მათ მიერ მშრომელთა ცხოვრების პრესაში გაშუქების დროს.

რეზოლიუციები და ცენტრ. გამგეობის არჩევა.

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობა ღებულობს გაკეთებულ მოხსენებათა მიხედვით სათანადო რეზოლიუციებს და ირჩევს კომფრაქციის მიერ წამოყენებულ პირებს ცენტ. გამგეობაში. ახალ გამგეობაში შედიან: ამხ. ალექსანდროვა, მატინიანი, მანველიძე, არეშიძე, ტაბიძე, ალახვერდოვი, აზარაშვილი, სანოვიჩი და შილანაშვილი.

სრულიად რუსეთის ყრილობაზე დელეგატად არჩეულია ამხ. ალექსანდროვა.

ყრილობა იხურება ინტერნაციონალის იმღერით.

საქართველოს მშენებელთა კავშირის მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა

ყრილობას ხსნის კავშირის მდივანი ამხ. ალავიძე. პრეზიდიუმში შედიან: ამხ. ამხ. ალავიძე, დაცკო, მარდალეიშვილი, შტეინბახი, შაშინაშვილი, ვალუისკი და წიკლაური. საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ტომსკი, ცხაკაია, მახარაძე, ლადო დუმბაძე.

კავშირის ცენტ. გამგეობის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ალავიძე, ს. პ. კ. ს. ამხ. მარქაროვი, ს. მ. უ. ს. სახელით პრეობრაჟენსკი, ახ. კომ. კავშირის სარქისოვი, მეფარცხენე ფედერალისტების სახელით ამხ. ჭეიშვილი.

მისასალმებელი დეპეშები ეგზავნებათ: კომინტერნს, ს. რ. რ. პ. კ. ც. საბჭოს, ა. კ. ბიუროს ს. პ. კ. საბჭოს, კავშირის ც. გამგეობას, ა. კ. და საქ. სახ. კომ. საბჭოს, პროფინტერნს. მიღებულია აგრეთვე გერმანიის პროლეტარიატისადმი მოწოდება.

შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. პენიაკოვის მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ცენტრალური გამგეობის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. ალავიძე).

მეორე ყრილობამდე კავშირი აკავშირებდა მთელს რესპუბლიკაში 1900 კაცამდე, ამ ჟამად კი კავშირს ჰყავს 4 470 მუდმივი და 900 დროებითი მუშა-ხელოსანი. ზრდა კავშირის წევრთა რიცხვისა აიხსნება მხოლოდ საამშენებლო წარმოების აღორძინებით. საკავშირო ორგანიზაციებს შორის კავშირი თანდათან მტკიცდება. კავშირი გაწმენდილია უცხო ელემენტებისგან კავშირიდან გამორიცხა 73 კაცი, უმთავრესად მოიჯარადრენი საწევრო გადასახადის ინდივიდუალური მეთოდი შემოღებულია ყველა საკავშირო ორგანიზაციებში. მოწყობილია ურთიერთ დახმარების, უმუშევრობის და საგაფიცვო ფონდები.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

კავშირის ცენტ. გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა საამშენებლო წარმოების მოწესრიგებას. განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია კავშირის ცენტ. გამგეობამ ხელფასის მოსაგვარებლად იმის გამო, რომ დიდი იყო სამეურნეო ორგანიზაციებზე მიუმაგრებელი ცალკე ხელოსანთა რაოდენობა. საანგარიშო პერიოდში აღიძრა 190 კონფლიქტი, რომელიც 672 მუშას შეეხებოდა, ამ რიცხვიდან 182 კონფლიქტი მუშათა სასარგებლოდ გადაწყდა. უმუშევრობა, რომელიც მეტად დიდი იყო განვლილ პერიოდის დასაწყისში, ახლა თითქმის ლიკვიდაციაქმნილია მთელ რესპუბლიკაში საალმშენებლო მუშაობის გაძლიერების გამო.

კულტ-მუშაობა.

კულტურულ განმანათლებელ დარგში კავშირი აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ცალკე მშენებელთა შორის, რომელთა შორის უცოდინართა პროცენტი ყველაზე დიდია. კავშირი ეწევა პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობას ადგილებზე პოლიტ-წრეების მოწყობის გზით. უკანასკნელ ხანებში კულტფონდი შესამჩნევად გაძლიერდა. ც. გ. ყურადღებას აქცევდა აგრეთვე წევრების უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნას და პროფტეხნიკური კურსების მოწყობას.

ამხ. ნიტოლაზერი (სარევიზიო კომისიის მომხსენებელი) ც. გამგეობის მოქმედებას ყოველ დარგში და აგრეთვე ფინანსიური საქმის დაყენებას სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს.

სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა სექციის მოხსენება

(მომხსენებელი სიმონსონი)

სამეცნ. ტეხნ. ძალთა ცენტრალური სექცია აქამდე აერთიანებს 149 წევრს. უმუშევართა პროცენტი 12-ია. შეძლებისდაგვარად სექციის ბიურო დახმარებას უწევს უმუშევარ წევრებს სამუშაოს გამონახვაში. ინჟინერთა სექციის ცენტ. ბიურომ დიდად ხელი შეუწყო საალმშენებლო წარმოების სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციას. პროფტეხნიკური განათლების დარგში ცენტ. სექცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მშენებელთა პროფტეხნიკურ კურსების ორგანიზაციით. მშენებელთა უმრავლესობა შესდგება მშენებელ-მუშებისაგან. პროფტეხნიკური განათლების ორგანიზაციის პირველმა ცდამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ხსენებულმა კურსებმა გამოუშვეს მომზადებული ხელოსანთა რჩეული კადრი. სამეც. ტეხნ. ძალთა ცენტ სექციამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებათა თავისი წევრების ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამხ. სიმონსონის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა სოხუმის, ახალსენაკის, ფოთის და ბათომის განყოფილებათა წარმომადგენლების მოხსენებები.

საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ქუთაისის სამაზრო განყოფილების და ზემო-ავჭალის მუშათა კომიტეტის მოხსენებები. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ყველაზე ძლიერი სამაზრო განყოფილება არის ქუთაისის, შემდეგ ძლიერ განყოფილებებათ ჩაითვლებიან სოხუმის და ბათომის. ყველა ზემოხსენებული განყოფილებები მეტად სუსტნი იყვნენ 1922 წლამდე, ხოლო შემდეგ საალმშენებლო მუშაობის გამოცოცხლებისას და გაძლიერების დროს გამაგრდნენ.

ქუთაისის განყოფილება აერთიანებს 837 კ. თუ ამ რიცხვს შევადარებთ 1922 წლის 15 ოქტომბერს არსებულ წევრთა რაოდენობას (45 კაცი), ცხადი იქნება საალმშენებლო წარმოების აღორძინების სურათი. საალმშენებლო საქმის აღორძინება გააძლიერა სამაზრო განყოფილება და ხელი შეუწყო პროფესიონალურ მუშაობას ქუთ. მაზრის მშენებელ პროლეტარიატს შორის.

სამაზრო განყოფილებასთან მოეწყო სამეც.-ტეხ. ძალთა სექცია, პროფტეხნიკური კურსები კვალიფიციური მუშათა მოსამზადებლად. კავშირის ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა. შექმნილია უმუშევართა, კულტურული და ურთიერთ დახმარების ფონდები.

1922 წლამდე სუსტი ბათომის და სოხუმის განყოფილებები 22 წლის შემდეგ შესამჩნევად განმტკიცდნენ, რაც მშენებლობის გაძლიერებით აიხსნება.

წევრთა რაოდენობით ყველა სამაზრო - განყოფილებებზე ძლიერია ზემო ავჭალის მუშ. კომიტეტი, რომელიც 1200 წევრს აერთიანებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ მუშათა უმრავლესობა ადგილობრივ მცხოვრებელი გლეხები, რომელთა კავშირში ჩარიცხვა პირველ ხანებში ძალიან გაჭირდა. ამ ჟამად თითქმის ყველა კავშირის წევრია და პროფესიონალურ მუშაობას დიდი სიმპატიით ეკიდებიან მუშათა საბინაო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა, აშენებულია 12 ბარაკი მუშებისათვის, არის აგრეთვე კარგათ მოწყობილი სასადილო. მოქმედობს მუშკოპის განყოფილება.

2 ოქტომბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალურ გამგეობის, სარევიზიო კომისიის და სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა სექციის მოხსენებათა გარშემო.

საქ. პროფსაბჭოს სამდივნოში

ქიმიურ წარმოებათა მდგომარეობა ბორჯომში.

საქართველოს პ. კ. საბჭოს სამდივნოში ამხ. ამხ. ბაბაჯანოვმა და გოთუამ გააკეთეს მოხსენება ბორჯომის ქიმიურ წარმოებათა მდგომარეობის შესახებ. სამდივნომ დაადგინა წინადადებით მიმართოს საკურორტო სამმართველოს გაისტუმროს მუშების ვალი ა. წ. ოც ოქტომბრამდე. ბორჯომის ქიმიური წარმოებანი ამ ჟამად დიდ კრიზისს განიცდიან. მოსალოდნელია მუშაობის სრული შეწყვეტა, ამის გამო სამდივნომ საჭიროთ დაინახა დასვას საკითხი წარმოების მდგომარეობის შესახებ საქ. სახ. კომ. საბჭოში.

ძირითადი უჯრედების დათვალიერება.

სამკ.-სასან. მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობამ გადასინჯა ყველა ადგილკომები და სამაზრო განყოფილებები იმ მიზნით, რომ გამოერკვია, თუ რამდენად სისწორით ატარებენ უჯრედები ცენტრის განკარგულებებს ცხოვრებაში; დათვალიერებამ აღმოაჩინა დაბალი უჯრედების მრავალი ნაკლი სამაზრო განყოფილებანი მიზანშეწონილად ხარჯავენ თანხებს და ამავე დროს არ იყვნენ მჭიდრო კავშირში მასებთან და ცენტრთან.

მშენებელთა კავშირში.

ხეტყის დამუშავებელთა კავშირის ცენტ. გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ საწევრო გადასახადის დროზე შეუტანლობით ფულის კურსის ცვალებადობის გამო კავშირი დიდათ ზარალობს, დაადგინა საქარხნო კომიტეტების საშუალებით ჯამაგირის აღების შემდეგ არა უგვიანეს ორი დღისა გამოერიცხოს წევრებს საწევრო გადასახადი. თუ არა საპატიო მიზეზით წევრი დააგვიანებს საწევრო ფულის შეტანას, მას გამოექვითება საწევრო გადასახადი საქონლის მანეთის კურსის მიხედვით დღის ღირებულებით, შემდეგში საწევრო ფულის შეუტანლობისათვის წევრი კავშირიდან იქნება დათხოვნილი. ამასთანავე როგორც ქალაქის, ისე პროვინციის საქარხნო კომიტეტებს ევალებათ სამი დღის განმავლობაში შეიტანონ საწევრო ფული კავშირში. თუ ფულის წარდგენა დაგვიანდა, ზარალის ანაზღაურება ევალებათ თვით ადგილკომებს, ეს დადგენილება გატარებული უნდა იქნეს ა. წ. 1 ოქტომბრიდან.

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ.

ვინაიდან სამეურნეო დაწესებულებები ცდილობენ სამუშაოს იჯარით გაცემას, და ამ გარემოებით ხელს უწყობენ მტვირთავთა შორის უმუშევრობის ზრდას და მუშათა ორგანიზაციების დაქსაქსვას, მოწვეულ იქნა საქართველოს და აზერბეიჯანის მტვირთავთა კავშირის წარმომადგენლების სხდომა. სხდომამ მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული გარემოება, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სრ. რ. ც. ს. ა. კ. ბიუროს წინაშე, რათა მან მიიღოს ზომები, რომ ყოველგვარი სამუშაო მისი იჯარით გაცემის დროს მიეცეს ცენტ. სატრანსპ. საზოგადოებას თანაბარ პირობებში.

მუშათა ცხოვრება

მუშის სიმღერა

(ძღვნად გერმანიის პროლეტარიატს)

გვესმის, გვესმის ბრძოლის ხმები
შორეული ქვეყნებიდან
ბურჟუები სისხლსა გვთხოვენ
პროლეტარებს ყოველ მხრიდან!
არ სცხრებიან, გვაშინებენ,
სწრაფად ლესვენ ჩვენზედ ხმლებსა.
არ ასვენებთ „ცოდვის სისხლი"
გაუმაძღარ ბოროტ მგლებსა.
მათ სწყურია ჩვენი სისხლი,
უნდათ ჩვენი დამონება;
ჩვენი ძალა-უფლებისა
გაქარწყლება, დამარცხება.
მაგრამ ტყვილად. ჩვენც ვიგრძენით
ამ უფლების გემოვნება.
ჩვენ მას ვერვის ვერ დავუთმობთ,
სანამ ძალა ხელთ გვექნება.
შევასრულებთ იმ ანდერძსა,
რაც რომ უთქვამთ ბელადებსა:
გადავლახავთ მტრების საზღვრებს,
მუსრს გავავლებთ მტარვალებსა.
ჩვენ ბრძოლაში გაწვრთნილი ვართ,
გაწრთული, გაქაჯული;
რაც გინდ რისხვა თავს დაგვატყდეს
არ შეძრკება ჩვენი გული.
წითელ დროშის მოფარაჯით
გვავაჟკაცებს მისი ფერი,
არას დროს არ წაიშლება
ზედ ნახატი „ნამგალ-ცელი".

მუშკორი გ. შინატებელი.

ბევრი იწერება, ცოტა კეთდება

(შრომის რაციონალიზაციის საკითხის გარშემო).

შრომის მეცნიერულად ორგანიზაციის შესახებ ძალიან ბევრი დაიწერა და იწერება კიდევაც როგორც გაზ. „კომუნისტ"-ში, ისე სხვა გაზეთებშიაც, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ პრაქტიკულად ამ დარგში ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა და არც გაკეთდება რაიმე ახლო მომავალში. ამის მიზეზები კი ბევრია — და უმთავრესი კი ისაა, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის ინდუსტრიის ქვეყანა. ჩვენში თითქმის არ არსებობს მანქანიური წარმოება და თვითონ ჩვენშიაც პრაქტიკულად და არც თეორეტიულადაც ვართ მომზადებული იმდენად, რომ ჩვენ ასე თუ ისე, ნაწილობრივ მაინც ცხოვრებაში გავატაროთ შრომის რაციონალიზაციის ძირითადი დებულებები. როგორც ვიცით, შრომის ინჟინირულად ორგანიზაციის წინ სდგას — „მანქანიზმის და ინდუსტრიის" უაღრესად განვითარება და ე. წ. „პატიოსნების"-ს ზედმიწევნითი ცოდნა მუშისა. ეს უკანასკნელი კი შრომის ორგანიზატორებისაგან, სხვათა შორის, აუცილებლად მოითხოვს ჩვენი მუშის სხეულის და მის მამოძრავებელ ძალის — ნერვიული სისტემის, ტვინის, გულფილტვების და მათ ზედმოქმედების პრაქტიკული მოვლენების მეცნიერულად შესწავლას და ექსპერიმენტალურად მათი გაზომვა სიმეტრიზაციას. ყველა ეს კი დღესდღეობით ჩვენთვის მიუწვდომელია და შეუძლებელი და მხოლოდ და მხოლოდ „ბოჭკოვანი სურვილების" საგანია. აი, ამიტომ სრულიად მართალია ამხ. ტომელი, რომელიც ამბობს: „არ შეიძლება სიჩუმით ზედმეტ საკითხების იმ რიგად დაყენებას, როგორც ჩვენ გვჩვევია. ერთდაიმავე ცას ვეპოტინებით და მიწაზე დახედვა ზედმეტ საქმედ მიგვაჩნია. ავიღოთ, მაგალითად, საკითხი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ. (იხ. „კომუნისტი"-ს № 237). შემდეგ, ამხ. ტომელი უარჰყოფს რა ამ საკითხს გარშემო სასწრაფოდ შეთხზულ უტოპიურ რეცეპტებს, გვძლევს თავისებურ შემდეგ რჩევას: „ჩვენი დღევანდელი საზრუნავია: სამუშაო დროის მთლიანად გამოყენება, მომუშავეთა შერჩევა ცოდნის და გამოცდილების მხრივ და მუშაობის პროცესის მიზანშეწონილად დაყენება". ო. (კურსივი ავტორისაა). ჩვენ სავსებით გავიზიარებდით ავტორის ამ აზრს, თუ კი ეს არ ნიშნავდა იმავე დროს შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ესენი როგორც მთავარი საკითხები შედიან მის მიერ დღევანდელ პროგრამიდან უარყოფილ „შრომის რაციონალიზაცია"-ში. ამიტომ ჩვენ ამხ. ტომელის წერილში ვერ ვპოულობთ გამოსავალ გზას. ამ წერილიდან არც ვიცით, თუ როგორ უნდა მივუდგეთ შრომის ნაყოფიერების და მუშის ძვირფასი ძალღონის კონსერვაციის (შენახვის), ეკონომიზაციის დაზოგვის და გაჯანსაღების საკითხებს, რაც ამ ჟამად „რკინის აუცილებლობით" სდგას ჩვენს წინაშე და რაც მეუცილებლად უნდა მოგვარდეს ახლო მომავალში. ამიტომ ჩვენ ამ წერილში გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რაც აუცილებლად საჭიროა და ასე თუ ისე შესაძლებელიცაა ეხლა. ჩვენ თავდაპირველად უნდა გავაუმჯობესოთ მუშის ყოფა-ცხოვრება ეკონომიურად და ჰიგიენურად როგორც ფაბრიკა-ქარხანაში, ისე მის ოჯახში: 1) მუშას უნდა მოუწყოთ [illegible] საკმარისად და ზომიერად თბილი, სუფთა, სინათლიანი, მისთვის აუცილებლად საჭირო ჰაერი კუბატურით, შენობა; ჩვენს მუშებს უნდა მივუჩინოთ ფაბრიკა ქარხნების ახლოს რიგიანი და სუფთა ბინები, ვინაიდან მათ ამ ჟამად ყოველდღე უხდებათ დიდ მანძილზე საცხოვრებელი ბინების ფაბრიკებთან სიშორის გამო, რის გამოც სრულიად უნაყოფოდ და მიზანშეუწონლად იფლანგება და იხარჯება მათი შრომის ძალღონე. ხშირად ჩვენი მუშა, კუჭ-ცარიელი და ჰარაქათ-გამოლეული, [illegible] ფაბრიკას და, აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ნაყოფიერი იქნება მისი მუშაობა თვით ფაბრიკაში; 2) ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები რომ მუშის შრომის ხელფასი შეეფარდებოდეს და აკმაყოფილებდეს მის ნორმალურ, ფიზიკურ-ორგანულ, ჰიგიენურ და მინიმალურ კულტურულ მოთხოვნილებებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ უწინარეს ყოვლისა, რომ მუშა, რომელიც განიცდის სიტიტვლეს, ხანგრძლივ სიმშილს და სცხოვრობს, არ და მუშაობს, ანტისანიტარულ პირობებში, ველარ შესძლებს შრომის ნაყოფიერების აწევას, ვინაიდან ის ფიზიკურად სუსტია და გონებრივად მიჩლუნგებული. ამ გვარად მივსცეთ ჯერჯერობით მუშას კარგი და სუფთა ბინა სამუშაოს ახლოს; მივსცეთ მას საშუალება მიიღოს კარგი, ნოყიერი და საჭირო ზომით საჭმელ-სასმელი, ჩაიცვას თბილად და ჰიგიენურად; დავაყენოთ ის კარგი ხარისხის მანქანასთან და „სტანოკებ"-ზე, მივსცეთ მათ ბლომად ნედლი მასალა მოვაწყოთ ჰიგიენურად ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები და მაშინ ცხადად დავინახავთ, თუ რა ნაყოფს მოგვცემს მუშის „კულტურული მარჯვენა". აი რაზე და რისთვის უნდა მარტო ვიმსჯელოთ კი არა, ვიზრუნოთ და პრაქტიკულადაც უნდა გადავსდგათ კონკრეტიული ნაბიჯები.

მარტო „ფურიერიზმი" და „კაბინეტიზმი" არა კმარა, არამედ საჭიროა პრაქტიკული და რეალურად შესაძლებელი ღონისძიებანი. ჯერ ის გავაკეთოთ, რაც აუცილებლად გასაკეთებელია და რის გაკეთებაც ოდნავადაც მაინც შესაძლებელია და როდესაც ავაღორძინებთ და ავაგუგუნებთ ასობით და ათასობით „[illegible]-მანქანებს" ჩვენს სალკლდოვან საბჭოთა საქართველოს, მაშინ ვიმსჯელოთ და ვიზრუნოთ კიდევაც „ტეილორიზმ"-ზე და „შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე".

ამ რიგად ჯერ ჩვენ ვიზრუნოთ იმ დეფექტების გამოსწორება-ლიკვიდაციაზე, რომელზედაც ჩვენი მუშები თავის წერილებში სამართლიანად, დარბაისლურად და სერიოზულად მიგვითითებენ და შემდეგ კი ვიზრუნოთ შორეულ მომავალზედაც.

გ. მ.

დავეხმაროთ გერმანიას

მეოცე საუკუნის დასაწყისი მთელი ქვეყნის გაბატონებული კლასთა საბედისწერო ხანად უნდა ჩაითვალოს სწორედ რომ ახლა უნდა მოეღოთ მათ ბოლო და ახლა უნდა დასრულდება და დაბოლოვდეს მათი განცხრომა და ფუფუნება. ამის მაგალითს დღეს ჩვენ მარტო გერმანიის ამბები არ გვაძლევს; ამას მთელი ევროპის მუშების ის მასსიური გამოსვლებიც მოწმობენ, რომლებსაც დღეს იქ ადგილი აქვთ.

ჩვენი გაზეთების დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ევროპიელ მუშათა მოძრაობის ტენდენცია საბჭოთა ხელისუფლებისკენ არის მიმართული და ადრე თუ გვიან ბურჟუაზიული ევროპა მშრომელ ევროპად გადაიქცევა და ძალაუფლება მუშებს ჩაჰბარდებათ. ის მცირედი დამარცხებანი, რომლებიც ნაწილობრივ განიცადა მუშათა კლასმა (ბულგარეთში), საწინდარია მომავალ, უფრო მედგარ ბრძოლისა და გამარჯვების და იოტისოდენადაც ვერ ანელებს აბობოქრებულ რევოლიუციის ტალღებს.

მაშასადამე, ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა დღეს ჩვენ სოციალისტურ რევოლიუციის ფაქტის წინაშე გვაყენებს, რომელზედაც არ შეგვიძლიან ჩვენ საბჭოთა ქვეყნების მშრომელებს და მუშებს, გავჩუმდეთ და თანაგრძნობა არ გამოუცხადოთ შორეულ ქვეყნების მშრომელ ძმებს და ჩვენი წვლილი არ შევიტანოთ საერთო საქმეში. ყოველ ჩვენთაგანს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ მათი გამარჯვება დამარცხება ჩვენი გამარჯვებაა — დამარცხებაა. ამისათვის, საჭიროა, რომ მათი ბრძოლის ფრონტი ჩვენც გავიზიაროთ და გუშაგათ დაუდგეთ მათ ინტერესებს, რომ ჩვენ საერთო მტერს არ მივსცეთ გასაქანი ჩვენს ძმებზე გამარჯვებისა. საჭიროების მიხედვით არამც თუ მარტო ნივთიერად, ცოცხალი ძალითაც უნდა დავეხმაროთ, რადგან თუ მტერმა გაიმარჯვა იქ, მაშინ ჩვენ საბჭოთა ფედერაციებსაც თავს დაგვესხმიან და თუ შესაფერისი ძალა არ ჰპოვეს, — აქ მთლად გაგვანადგურებენ. ეს კი კარგ რასმე არ მოასწავებს, რადგან გამარჯვებული მტერი შეეცდება დაიბრუნოს თავისი ძალა-უფლება მუშების და გლეხების სამუდამოდ დამონების მიზნით.

ეს გარემოება კარგად უნდა გაითვალისწინოს ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა და მშრომელებმა და შესაფერისად უნდა გარდაფასონ დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა.

ამას მოითხოვს თვით ჩვენი, მუშების და გლეხების, სასიცოცხლო ინტერესები.

მაშ, დავეხმაროთ გერმანიას!

ხტამბის მუშა ქ.

ჩვენი მუშები გერმანიის პროლეტარიატს უწევენ ყოველგვარ დახმარებას

პროფკავშირის დადგენილებით ა. წ. 8 ოქტომბერს „კინო-პალასის" შენობაში იქნა ნაჩვენები სურათები, რომლების შემოსავალი ხსენებულ კინოს მუშა-მოსამსახურეთა დღიური შრომის ხელფასის მიმატებით გადაეცა დამხმარე კომისიას გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ. ამ გვარად ზემო-ხსენებულ „კინოს" მუშა-მოსამსახურეებმა გამოიჩინეს სრულიად რევოლიუციონური გამბედაობა და არც ერთმა მუშამ არ დაიშურა ამ დიად საქმისთვის თავისი დღიური ხელფასიც. მთელი შემოსავალი უდრის ხუთას ოთხ მილიონ მანეთს, რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ გერმანიის მუშების დასახმარებლად. მასთან ჩვენი მუშები უთვლიან მათ ძმურ სალამს და უსურვებენ სრულ გამარჯვებას გადამწყვეტ ბრძოლაში.

მუშკორი გ. მ—შვილი.

უნდა აილაგმოს.

(შრომის ინსპექციის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ამხ. „ძეგვს", რომელიც ამხ ლენინის სახელობის ქუჩაზე № 28-ში ვაჭრობს კირით, აქვს კირის ქარხანა სოფ. სასხორში. ეს ამხანაგობა ეკუთვნის მოქ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გედევანიშვილს. ა. წ. 28 მაისს მოქ. გედევანიშვილმა მოიწვია სასხორის კირის ქარხნის გამგედ ამხ. ნიკ ივანოვი და დაუნიშნა მას თვეში 25 საქონლის მანეთი. ამხ. ივანოვმა იმსახურა 4 თვე და 100 საქ მანეთის მაგივრად მიიღო მხოლოდ 45 მანეთი. მეტის მიცემას არც კი ფიქრობს ბატონი გედევანიშვილი ეს საქმე უკვე ერთი თვეა იცის შრომის ინსპექტორმა, მაგრამ ბოლო მაინც არ სჩანს. ვისი ბრალია ეს? იმავე გედევანიშვილის, რომელიც ცდილობს საქმე რაც შეიძლება გააჭიანუროს. საჭიროა შრომის ინსპექტორმა დააჩქაროს საქმე ჭეშმარიტების აღსადგენად და ამავ „ხაზეინის" ასალაგმავად.

მუშკორი წითელი.

საჭიროა კოლექტიური ხელშეკრულების მუშებისთვის ფართოდ გაცნობა.

მინდა აღვნიშნო ის არა-ნორმალური მდგომარეობა, რომ ბევრ დაწესებულებებში მუშები კოლექტიურ ხელშეკრულებებს საკმარისად ვერ იცნობენ და მის მნიშვნელობაში ვერ ერკვევიან. ამის გამო ბევრგან სატარიფო დარგში სრული ვაკხანალიაა.

ცხადია, ასეთის გაცნობა კავშირის საქმეა. ის ყოველთვის უნდა უხსნიდეს მუშებს სატარიფო ცვლილებებს, შრომის ხელშეკრულებებს, ნორმის აწევის მიზეზებს, პრემიების განაწილების პრინციპებს და სხვა.

მე ვფიქრობ, რომ მუშები სრულიად მართალი არიან, როცა ლაპარაკობენ, რომ სანამ დამტკიცდებოდეს კოლექტიური ხელშეკრულება, ან დაწესდებოდეს ნორმები, საჭიროა თვით მუშებთანაც მოლაპარაკება და მათი აზრის გაგებაც, რამოსოდ ხშირად ბევრ ნაკლს აქვს ადგილი, რაც უდიდესი შემაფერხებელია მუშების მიერ დაწესებულ ნორმის დამზადების.

მაგ. ლენინის თამბაქოს ფაბრიკაში სხვადასხვა განყოფილებებში სხვადასხვა ნორმებია იმ დროს, როცა ზოგი მუშა დაწესებულ სამუშაო ნორმასაც ამზადებს და თითქმის გაზეთის კითხვაც შეუძლია მუშაობის დროს, ზოგიერთები კი თავაუღებლივ მუშაობენ და ნორმასაც ვერ ასრულებენ. ამნაირად ზოგი ბევრ ფულს იღებს და ზოგი კი ძლიერ ცოტას, რაც გულსაწყვეტად ურჩება ბევრს მუშას.

ცხადია, ყველა ამ უსიამოვნების მიზეზია მათი ხელშეკრულებების პირობების არ ცოდნა და ხელშეკრულებების დადების დროს მუშების დაუსწრებლობა.

საჭიროა კოლექტიური ხელშეკრულების დადებამდე მისი მუშებისთვის და მათი დელეგატებისთვის გაცნობა და განმარტება.

უნდა მივიღოთ ზომები, რომ მომავალში ეს ასე არ მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უსამართლობას და უნებლიეთ შეცდომებს ბოლო არ მოეღება.

მუშკორი მახი.

ხაზეინის გაიძვერობა.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 16-ში არის მოთავსებული საპარიკმახერო „მაესტრო", რომელიც ეკუთვნის მოქ. შმიდტს. ბატონი შმიდტი არ აძლევს კუთვნილ ფულს მასთან მომუშავე 7 მუშას—პარიკმახერებს. სამ მათგანს ერგება 24 საქ. მანეთი, სამს—18 საქ. მანეთი და ერთსაც—12 საქ. მან. სულ 138 საქ. მანეთი. შმიდტი გაიპარა და უხმაუროდ დასტოვა მუშები, რომელთაც ეს ფული დაიმსახურეს თავიანთი შრომით და ოფლით. საჭიროა, ამას მიაქციოს ყურადღება სათანადო უწყებამ და მუშები მალე იქნან დაკმაყოფილებული.

მუშკორი ნ. ბ.

შრომის კანონის დარღვევა დაუშვებელია

(შრომის ინსპექციის საყურადღებოდ).

ლაზარევის ქუჩაზე № 2 არის სასადილო „დროება" ერთ წელიწადზე მეტია აქ მსახურობდა ამხ. ბაგრატ ჩირგინაშვილი. რამოდენიმე თვის წინად ამხ. ჩირგინაშვილს და სასადილო „დროება"-ს პატრონ ნიკოლაიშვილს შორის მოხდა უთანხმოება. უთანხმოების შედეგი იყო ხელმეორედ მორიგება სამსახურის პირობების გაუმჯობესებით. ნიკოლაიშვილმა პირობა მისცა მას, რომ ის ყოველთვიურად მისცემდა მას ჯამაგირს დაუგვიანებლად და გაუწყვეტლად. ამხ. ბაგრატ ჩირგინაშვილი დასთანხმდა. ეს იყო ა. წ. მაისში. მას შემდეგ ამხ. ჩირგინაშვილმა მიიღო სულ 43 მილიონი მანეთი. ამ თვის დასაწყისში მოქალაქე ნიკოლაიშვილმა დაითხოვა ის სრულებით სამსახურიდან წინდაწინ გაუფრთხილებლად. არ მისცა მას არც კუთვნილი ჯამაგირი და არც სალიკვიდაციო ჯილდო.

საჭიროა, ამ ამბავს ყურადღება მიაქციოს შრომის ინსპექტორმა და მიიღოს სათანადო ზომები შრომის კანონების დარღვევისათვის სასადილოს პატრონის პასუხისგებაში მისაცემად.

მუშკორი კეთილი.

პიესაში სულ იმერლის ტიპები არიან ერთი ორის გარდა.

იმერული როლების კიდევ წესიერად შესრულება არც თუ ბევრს ემარჯვება.

საკმარისია ასეთ როლებში ცოტა გადაჭარბო და მაშინ ნამდვილი იმერული ტიპის მაგიერ გამოვა რაღაც ტიპიური, გამასხარავებული.

აქ ყველა როლების შემსრულებლებს მშვენივრად ჰქონდათ შეგნებული ეს ზომიერება და ამითი ჰქონდენ ნამდვილ ბუნებრივ ელფერს თამაშობისას.

როგორც მთავარი როლები, აგრეთვე სულ უმნიშვნელონიც — „სტრაჟნიკებისა" და გლეხებისა დიდ ყურადღებას იწვევენ და სიამოვნებასა ჰგვრიდენ თავიანთის თამაშობით.

ამ ხელშეწყობილ და უნაკლულო გუნდიდან მსახიობებს მაინც უნდა გამოვარჩიო ნინიძე—პაპუხას როლში თვით რეჟისორი ბარველი—თავად კოწიასაში და ქ ნიჟილი—გლეხი დელეგატისაში.

თითქოს არც ერთი კილოთი, არც ერთი ხაზით არ უხვევდენ ბუნებრიობას და მაყურებელში ჰქმნიდენ ისეთ წარმოდგენას — თითქოს უკეთესად თამაში ამ როლებისა აღარ შეიძლებაო.

ეს დიდი მიღწევაა მსახიობისათვის, რომ ასეთი შთაბეჭდილება შთანერგოს მაყურებელში.

ვეძებე რამე ნაკლს და—ვერ მიპოვია.

ნუ თუ ნაკლად ის ჩაითვლება, რომ იანქოშვილის ქალს არ აწყენდა ცოტა მეტი სიხალისე?

მთელს თამაშობაში სჩანს რეჟისორის დაკვირვებული და გაზომილი უნარი.

საერთოდ ვისაც არ უნახავს, არავინ წარმოიდგენს, რომ სახალხო სახლს ასეთი ნიჭიერი და დახელოვნებული მსახიობები ჰყავს.

მათის ხილვით არც ერთი გემოვნების ადამიანი არ წააგებს დროს.

ერთი პატარა შენიშვნა:

უპროგრამობა ძალიან უშლის ხელს როგორც როლების, აგრეთვე მსახიობების გაცნობასაც.

დილი.

— **„მოცარტი და სალიერი".** მიმდინარე წელს სრულდება 15 წელიწადი კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვის გარდაცვალებიდან, რომლის აღსანიშნავად სახ. ოპერაში წარმოდგენილი იქნება „მოცარტი და სალიერი". ოპერას დასდგამს რეჟისორი რაპპოპორტი.

— **ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კლუბში.** ახლო ხანში ფოსტის მუშა-მოსამსახურეთა კლუბში გაიმართება დიდი სალამო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

— **გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი.** გამოდის გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის მე-10 ნომერი, ჟურნალი იქნება დიდი ფორმატისა, დასურათებული და ეღირება 500.000 მან.

აბასთუმანის ტყეები

აგარაკი აბასთუმანი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისთვის ძვირფასია, რადგანაც აქ თავს იყრის ავადმყოფები ყველა მხარეებიდან ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად, თუ ტყე მოისპო და გაიჩეხა ამ რაიონში აბასთუმანიც დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აბასთუმნის ტყეების დაცვას და მოვლა-მოშენებას.

სამწუხაროთ აღნიშნულ ტყეებს საკმაო ყურადღება არ ექცევა. უგუნური გაჩეხვით და გადაწვით, რამოდენიმე 1000 დესეტინა ტყეა განადგურებული.

ტყეებში მწყემსები თარეშობენ ჯოგით. ჩვენ ვიცით, რომ ტყის უმთავრესი მტერი საქონელია, მაგრამ საქონელი მარტო ტყეს არ სპობს, ტყეებში ნასიარულევით კეთდება გზები, ბილიკები, საქონლის ფეხის ჩლიქებით იჩიჩქნება დედამიწის ზედაპირი და ავი დარების დროს ნიაღვარი მიჰქანება ამ ბილიკებზე და აკეთებს ხევებს. ამის გამო იყო რომ გასულ წელს აბასთუმანში წყალმა მთელი ხიდები და გზები სრულებით გააფუჭა.

ამხ. ფილიპე მახარაძემ მისი აბასთუმანში ყოფნის დროს, გასცა განკარგულება, რათა გამოერეკათ მეჯოგეები ტყიდან და აეკრძალა ტყის ფარგლებში საქონლის ძოვება, მაგრამ სამწუხაროთ ტყის გამგე მ. კონსტანტინოვმა არ შეასრულა ეს განკარგულება და პირიქით, თვითონ კონსტანტინოვმა შეიძინა ძროხები და ცოტა, რომ დასცლოდა ჯოგსაც გაიჩენდა, კონსტანტინოვი ჯოგს იჩენდა სახაზინო ტყის შემოსავლიდან და ათეული საქონლით ჰყავდა [illegible]; მეჯოგეებს ყველში, კარაქში და თაფლის ფუტკრებში აძლევდა საძოვარს ჯოგებისთვის ტყეებში და რა გასაკვირველია, რომ ტყეები განადგურებული იყოს.

ტყეებს [illegible] და პატიოსანი ტყის გამგე ესაჭიროებათ და ასეთი ტყის გამგეები კი, როგორიც კონსტანტინოვია, ტყეების განადგურებას ხელს უწყობენ. თუ გვინდა, რომ აბასთუმნის ტყეები არ განადგურდეს, საჭიროა მივიღოთ შემდეგი ზომები:

პირველყოვლისა უნდა ავკრძალოთ საქონლის ძოვება სატყეოს ფარგლებში, და 5—10 ვერსის მანძილზე ტყის ხაზიდან. ვინაიდან ტყესთან ახლო თუ იქნა საქონელი, ავი დარის დროს ტყეს მოაშურებს თავის დასაფარავათ, და რაც უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს მწყემსმა ვერ დააკავებს ჯოგს.

უნდა გაიწმინდოს ტყე მწერებისაგან დაზიანებული ხეებიდან; ყოველ წლის პირველ მაისამდი, უნდა გავსწმინდოთ გადამწვარი ტყე და ხელი შევუწყოთ ტყის აღმოცენებას.

უნდა მოვსპოთ ტყის ფარგლებში პატარ-პატარა ველების სათიბავები, ამ ადგილებშიც ტყე უნდა გაშენდეს. დაკვირვებიდან სჩანს, რომ აღნიშნულ ნაკვეთებში ბუნებრივი აღმოცენება საუცხოვოთ მოდის, მაგრამ გლეხები სჩეხავენ ამოსულ ტყეს

უნდა დაიკეტოს გასატყევებლათ ის სახნავ-სათესის ნაკვეთები, რომლებიც ტყეს ზიანს აყენებენ.

უნდა გვქონდეს დიდი სანერგე, გაუტყევებელი ადგილების გასატყევებლათ.

უნდა გავადიდოთ ტყის დარაჯების შტატი მინიმუმამდე მაინც. ამჟამათ აბასთუმნის სატყეოში არის 9 ტყის დარაჯი, და ამ პატარა შტატით ტყეებს ვერ დავიცავთ. რევოლიუციამდე აბასთუმნის სატყეოში იყო 15 ტყის დარაჯი, ეს მაშინ, როდესაც ნახევარზე მეტი ტყეები კერძო მესაკუთრეების ხელში იყო; რომ ვიანგარიშოთ ვარაუდათ ერთი იმდენი ტყეები მოემატა ხაზინას რევოლიუციის შემდეგ. მაშასადამე, შტატიც უნდა გადიდებულიყო რევოლიუციის შემდეგ და კიდეც გადიდდა 26 ტყის დარაჯამდე, მაგრამ რადგან სახელმწიფომ ვერ შესძლო ხარჯების დაფარვა, შეამცირეს რვა დარაჯამდე. ამხ. ფილიპე მახარაძეს გასულ წელს, როდესაც დაუთვალიერებია ტყეები, დარწმუნებულა, რომ დარაჯთა რაოდენობა საკმაო არ იყო და კიდევ 3 ტყის დარაჯით გაუდიდებია შტატი. წელს მოქ. ნახეიშვილმა შეამოკლა შტატი, დაითხოვა 3 დარაჯი, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო. თუ გვაინტერესებს ტყეების კეთილდღეობა და დაცვა, აბასთუმნის სატყეოში ტყის დარაჯების შტატი უნდა გავადიდოთ მინიმუმამდე მაინც. შტატების შემოკლებით საქმე არ უნდა წახდეს თორემ ამ შემოკლებით ვაი თუ ხალხის ქონება შევამოკლოთ და მეტი ზარალი მივსცეთ ხალხს და სახელმწიფოს.

მეტყევე ალ. კვარკელია.

პროვინციაში

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება შორაპანში

19 ოქტომბერს შორაპნის რკინის გზის თეატრის დარბაზში შესდგა ქ. ზესტაფონის საბჭოთა დაწესებულებების და ზესტაფონ-შორაპნის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა. სალამოს სრულ შვიდ საათზე კრებას ხსნის ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ფუტკარაძე. გერმანიის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომლის გამოსვლას დიდი ოვაციებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება.

ამხ. ს. ორჯონიკიძემ ვრცლად გააშუქა გერმანიის სოციალისტური რევოლიუციის მნიშვნელობა მუშათა კლასისთვის, შეეხო გერმანიის ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას, გერმანიის კომპარტიის გაძლიერებას და გერმანიის მუშათა კლასის აქტივობას, დაახასიათა შტრეზემანის მთავრობის პოლიტიკა და მისი კავშირი ფაშისტებთან პროლეტარიატის დამარცხების მიზნით.

დასასრულს მომხსენებელმა გადუშალა კრებას გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვების პერსპექტივები, და მოიყვანა რამოდენიმე მაგალითი ოქტომბრის რევოლიუციიდან, მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების გაწევისაკენ.

მოხსენება, რომელიც დასრულდა სალამოს 10 საათზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი კრების მიერ და მის გარშემო გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება გერმანიის მდგომარეობის შესახებ, ქ. ზესტაფონის და ზესტაფონ-შორაპნის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება მხურვალე სალამს უძღვნის და გამარჯვებას უსურვებს გერმანიის პროლეტარიატს გმირულ თავდადებულ ბრძოლაში.

გერმანია სოციალისტურ რევოლიუციის წინ სდგას. მსოფლიო რეაქცია ფაშიზმის სახით უყრის თავს თავის ძალებს გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის დასამარცხებლად.

გერმანიაში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება ნიშნავს სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით და ამ გამარჯვებისთვის ჩვენ არაფერი არ უნდა დავიშუროთ და მზათ უნდა ვიყოთ ყოველგვარი მსხვერპლისთვის.

ქ. ზესტაფონის, ზესტაფონ შორაპნის რკ. გზის მუშა-მოსამსახურენი აღთქმას სდებენ—აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება გერმანიის პროლეტარიატს და მოუწოდებს ყველა მშრომელთ, რათა თავი მოუყარონ თავის ძალებს საბჭოთა კავშირის და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

ძირს რეაქცია! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიაში და მთელ მსოფლიოში.

ტ. შარიქაძე.

ხაშურის რკინის გზის სკოლების მდგომარეობა

ქ. ხაშურში არის რკ. გზის ოთხი სასწავლებელი, რომლებიც მოთავსებულია მხოლოდ ორ შენობაში, სადაც თვითეული ამათგანი მეცადინეობას აწარმოებს ორ წყებათ, დილის 9 საათიდან სალამოს 6 საათამდე. სასწავლებლებში ამის გამო შექმნილია აუტანელი მდგომარეობა. წარსულ სასწავლო წელს ცუდი ამინდის დროს უკანასკნელი გაკვეთილების მიცემა, სინათლის უქონლობის გამო, იყო შეუძლებელი, რაც დიდათ უშლიდა ხელს სწავლა-აღზრდის საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას, მიუხედავათ იმისა, რომ თვითეულ ამ სასწავლებელს ამ ჟამად ჰყავს და წარსულ წელშიაც ჰყავდა სწავლა-აღზრდის საქმეთ დაინტერესებული და თავისი მოვალეობის კარგათ მცოდნე გამგე, და მასწავლებელთა შტატებიც ყველგან იყვნენ და დღესაც არიან ენერგიულ, თავისი მოვალეობის პირნათლად აღმასრულებელ და შესაფერ ცოდნით აღჭურვილ მუშაკთა შემადგენლობით.

ხაშურის რკ. გზის სასწავლებლებისათვის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი არის მოწაფეთა მოსათავსებელ საკმარის ბინის უქონლობა, რასაც დროზედ უნდა მოეღოს ბოლო. ამ საქმეში მთავარ პასუხისმგებელ პირების საყურადღებოთ აღვნიშნავ, რომ ქ. ხაშურში არსებობს რამდენიმე ყოფილი გვარდიის შენობები, (ყაზარმები), რომლებიც წლიდან წლამდე თავისუფალნი არიან და ამიტომ შესაძლებელი არის ამ შენობების სასწავლებლებისათვისაც გამოყენება. ამ მოსაზრებით ხაშურის რკინის გზის მესამე შრომის სკოლამ, ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით და თანხმობით, დროებით დაიკავა ხსენებული შენობები და აქ აწარმოებს იგი ამ ჟამად მეცადინეობას. ამ შენობების მუდმივი დაკავების შემდეგ ხაშურის რკ. გზის თვითეული სასწავლებლებს საშუალება მიეცემა მეცადინეობა აწარმოოს ერთ წყებათ; ეს კი, ერთის მხრივ, მოსპობს სასწავლებლების უდიდეს დამაბრკოლებელ მიზეზს და, მეორეს მხრივ, მოსპობს აგრეთვე იმ ზედმეტ და მნიშვნელოვან სახელმწიფო ხარჯებს, რომლებსაც იწვევს ხაშურის რკინის გზის სასწავლებლები, თავისი მეორე წყების მეცადინეობის მიზეზით. თვითეული სახელმწიფო ორგანო და აგრეთვე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც კი ეხება ზემოდ ხსენებული საქმე, ვალდებულია ამ საქმეს მოჰკიდოს ხელი და საბოლოოდ მოუღოს ბოლო იმ ანორმალობას, რომელშიც იმყოფებიან ხაშ. რკ. გზის სასწავლებლები.

გ. ზუმბაძე.

სოფ. ჯუჯავათი (ოზურგეთის მაზრა)

ოზურგეთის მაზრაში არის ერთი პატარა სოფელი—ჯუჯავათი. იქ იყო ოთხწლედი სკოლა. გადის ათი წელი და ეხლა სოფლის ერთი კუთხე დაჟინებით ითხოვს სკოლის მეორე ალაგას გადატანას. განათლების კომისარიატის ინსტრუქტორის გამოკვლევით სკოლა უნდა დარჩენილიყო ძველ ალაგას. (კომისარიატმა ამის შესახებ რამდენჯერმე გაუგზავნა მაზრის აღმასკომს განკარგულება) მაგრამ ჩვენთვის გამოურკვეველ მიზეზების გამო, სკოლა მაინც დაშალეს და გადაიტანეს მეორე ალაგას. მთელი ორი კვირის განმავლობაში მასალა ეყარა ღია ცის ქვეშ. შემდეგ კვლავ აღაშენეს. როგორც კომისარიატი იძლევა ცნობას—ის უკანასკნელად გაგზავნილი [illegible] წარმომადგენელი [illegible] კომისარიატის [illegible] კომისარიატი უკვე ფაქტის წინაშე დაყენებული—სკოლა ახალ ალაგას აშენებული. ხალხი უკმაყოფილოა ამ ჟამად სოფელი უკანასკნელად შუამდგომლობს კომისარიატის წინაშე საბოლოოდ გამოირკვეს საქმე. უკვე მეცადინეობა დაიწყო, ბავშვები კი სკოლაში ვერ მიდიან საქმის ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია.

ა. მ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა საუბნო კომიტეტში განცხადება შემოიტანეს და სურვილს აცხადებენ კომუნისტურ პარტიის წრეებში შესვლისას.

მე-2 საუბნო კომიტეტი სთხოვს იმ ამხანაგებს, რომელთაც ქვემოხსენებულ ამხანაგების წინააღმდეგ აქვთ რაიმე საბუთები ოქტომბრის 24-დე წარმოუდგინონ შესაფერი მასალები საუბნო კომიტეტს (პლეხანოვის ქ. № 96.).

1. პარონატიან კარაპეტ, მუშა თამბ. ქარხ. „პროლეტარი". 2. ბეჟუაშვილი ვასილი, მუშა თამბ. ქარხ. „პროლეტარისა". 3. აგოიანი არტემ, მუშა საფაროვის თამბ. ქარხნისა. 4. ახუნდოვი იზმაილ, ტრამვაის მუშა. 5. ადილხანოვა ანაიდა, ინტელიგენტი ქალი. 6. დოშოიანი ვართან, მუშა „პროლეტარი"-ს თამბ. ქარხ. 7. ტურუკინი პავლე, ტრამვაის მუშა. 8. დონიევი გიორგი, მუშა. 9. პარისტაევი, ტრამვაის მუშა. 10. ტურაზიანი ივანე, მუშა. 11. ხელაია სამსონ, მუშა 1 საბჭოთა ქარხნისა. 12. მაშკევიჩი ლაზარე, ინტელიგენტი დამზღვევი კასა. 13. შიოიანცი არშაკ, მუშა ცენტროკავშირისა. 14. გუდეილიაცის, სატრანსპორტო საზოგ. მუშა. 15. ტოგონიძე ივანე, არსენალის მუშა. 16. ხოდარევი მეთოდი, მუშა საბჭოთა მე-2 ელექტროსადგურისა. 17. ლაზუტინი ვასილი, არსენალის მუშა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— ტფ. კ—ის საგ.-საპროპ. განყოფილებაში ოთხშაბათს, დღის 1 საათზე შესდგება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის თათბირი.

დღის წესრიგი: 1. პრეზიდიუმის მოხსენება, 2. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საზოგადო კრების მოწვევა, 3. მიმდინარე საქმეები.

საორგანიზაციო კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

კომისიის თამჯდომარე მ. ესსენი.

— კომ. პარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრთ და კანდიდატებს, რომლებიც არიან ლენინის სახელობის ტფ. სახელმწ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტები და სტუდენტი—ქალები, წინადადება ეძლევათ წარუდგინ რეგისტრაციისათვის სასოფლო-სამეურნეო ფაკ—ის კომფრაქციის მდივანს სტუდენტთა წარმომადგენლობის საბჭოში. რეგისტრაცია სწარმოებს 24 ოქტომბრამდე სალამოს 6-დან 8 საათამდე.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ტუტუნჯიანი.

— ორშაბათს, დღის 1 საათზე ტფ. კ—ის საგიტ-საპროპ. განყოფილებაში შესდგება ოქტომბრის რევოლიუციის მე-6 წლის თავის დღესასწაულისათვის სამხატვრო და საკარნავალო კომისიის თათბირი.

კომისიის თავმჯდომარე მ. ესსენი.

— ლენინის სახელობის ტფილისის სახელმწ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტის კომფრაქციის ბიურო, იწყებს რა ახალ სასწავლო წლისათვის ფრაქციის წევრთა ხელახალ აღრიცხვას,—წინადადებას აძლევს კომ. პარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრთ და კანდიდატებს,—გამოუკლებლივ—(როგორც წინეთ, ისე ახლად მიღებულთ), რომლებიც შედიან ტფ. სახელმწ. პოლიტეხ. ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტებში როგორც სტუდენტები ან თანამშრომლები, პარტიულ დისციპლინის წესით წარუდგინ აღსარიცხავათ ფრაქციის ტექნიკურ მდივანს.

რეგისტრაცია სწარმოებს ყოველდღე 25 ოქტომბრამდე: დღით—საქ. კ. პ. ტფ. კომ—ის საორგანიზაციო განყოფილებაში 11-დან 12 საათამდე, ხოლო სალამოობით—ფაკულტეტის საბჭოს ოთახში (სტუდენტთა წარმომადგენლობის საბჭოს ზემოთ, ლიტოგრაფიის გვერდით)—7-დან 8 საათამდე.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

განათლების მუშაკთა სახლში.

— სამშაბათს 23 ოქტომბერს, საღ. 7 საათზე, სამათემატიკო წრის სხდომა სომხურ ენაზე მომუშავეთათვის.

ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს საღ. 7 საათზე საზოგადო ცხოვრების შემსწავლი წრის—სომხურ ენაზე.

ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს, საღ. 6 ს. ხატვის და ხელსაქმის წრეში მომუშავეთა-რუსულ ენაზე.

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს საღ. 6 ს. რუსულ, სომხურ და მუსულმანურ სკოლებში ქართული ენის სწავლების წრის საორგანიზაციო კრება.

პარასკევს, 26 ოქტომბერს საღ. 7 ნახ. საათზე ქართულ სომხურ და მუსულმანურ სკოლებში რუსულ ენის სწავლების წრის სხდომა.

პარასკევს, 3 ნოემბერს საღ. 7 საათზე რუსულ ქ. სექციის საბიბლიოგრაფიო წრის სხდომა.

გ. მ. სახლის გამგე—შიუკაშვილი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ სამშაბათს, 23 ოქტომბერს, სწორედ საღამოს 5 საათზე, დანიშნულია **გაფართოვებული პლენუმი საუბნო კომიტეტისა** უჯრედების მდივანთა თანდასწრებით.

დასწრება ყველა წევრებისა, კანდიდატებისა და აგრეთვე უჯრედების მდივნებისა სავალდებულოა, საკითხის მნიშვნელობის გამო.

პასუხისმგებელი მდივანი ბაცაევიჩი.

განცხადებები

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სამმართველოსაგან:

თანახმათ ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1923 წ. 24 აგვისტოს დადგენილებისა („Изв. ЦИК С. С. С. Р." № 201, 1923 წ. 7 სექტემბრის თარიღით), ამით ცხადდება საქონლის პატრონების ცნობისათვის და საბაჟოთა სახელმძღვანელოთ, რომ საქონლები ან საგნები, რომლებიც აქამდე დარჩენილია საბაჟოების საწყობებში, როგორც ტარიფის ძალით შემოსატანათ აკრძალული ან როგორც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შინაგან ბაზარზე შემოტანისათვის აკრძალული, **ნება დართულია დაბრუნებულ იქნან საზღვარ გარეთ ერთი თვის განმავლობაში** დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა; აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ ტარიფის ძალით შემოტანისათვის აკრძალული საქონლები **ჩამორთმეული იქნებიან** კონფისკაციის წესით, ხოლო საქონლები, რომელთა გამოტანა შინაგან ბაზარზე აკრძალული იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, **გაყიდულ იქნება** ნ საჯარო ვაჭრობის წესით, რომლის პირობები აღნიშნულია ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭოს ზემოხსენებულ დადგენილებაში.

689—3—1

სახამშო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანციხის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტერნის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18-14. (46—25—6)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომლებიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ [illegible] ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდეევის ქ. № 20. (1252—25—15)

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი და მეტრიკული მოწმობა მაგარ ტერ აბრამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 68—1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი განათლების მუშაკთა კავშირის გიორგი კვარაცხელიას სახელზე ბეჭდითი სიტყვის სექციის. ჩაითვალოს გაუქმებულად.

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.